# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 3 მაისი 2001 №79 (1352) | ფასი 50 თეთრი

CHAMPIONS LEAGUE

# ვალენსიამ ლიდსიდან ფინალის შანსი წაიღო

ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## ლიდსი 0:0 ვალენსია






„ლიდსის“ შეტევებს ექტორ რაულ კუპერმაც გაუძლო და დიდი შანსია „ვალენსია“ ფინალში მეორედ ათამაშოს



„აზოტის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე (შუაში) საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებს სამი წლით გამოათხოვეს

საქართველოს ჩემპიონატი

# სასჯელი მსაჯის ცემისთვის

- რუსთავის „აზოტი“ მოიხსნა საქართველოს მეათე ჩემპიონატიდან და მესამე ადგილი თბილისის „მაკაბის“ მიეკუთვნა.
- „აზოტის“ მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს სამი წლით აეკრძალა უმაღლესი ლიგის გუნდის ხელმძღვანელობა.
- ირაკლი ჯაფარიძეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიეცა.
- რამაზ გოგობერიშვილი ხუთ თამაშს გამოტოვებს, მასვე მიეცა ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდა 500 ლარით.

*გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა ეს და კიდევ სხვა სასჯელები გამოუტანა მსაჯ ზაზა მაჩალაძის უმოწყალოდ მცემელ რუსთავის „აზოტს“.*

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# ფეხელ ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი

## ლიდს იუნაიტედი 0:0 ვალენსია

**ლიდსი. «ელანდ როუდი». 36 437 მაყურებელი**

მარტინი, მილსი, ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბეტი, დაკური, კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი

კანისარესი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ალბელდა, ბარახა, კარეუ, ხუან სანჩესი (ზაჰოვიჩი 66), კილი გონსალესი (ვისენტე 90)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ბარახა, კარბონი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)


REUTERS

ო, რიო, რიო... ფერდინანდს ეს რომ გაეტანა...



მარკ ვიდუკასთან ჟოსელინ ანგლომა უშანსოდ დარჩა


REUTERS

ვალენსიელმა რობერტო აიალამ ჰარი კიუელს ფეხი ცელივით გამოუსვა


REUTERS

რიო ფერდინანდი და იონ კარეუ ძმებად დარჩნენ



პრესტონი — ბლეკბერნი. მეტ იანსენის (შუაში) გოლით „ბლეკბერნმა" პრემიერლიგაში გზა დაილოცა

### ინგლისი

I დივიზიონი
გადადებული მატჩები
პორტსმუთი 2:4 კრისტალ პალასი
პრესტონი 0:1 ბლეკბერნი

II დივიზიონი
გადადებული მატჩი
როვერსი 1:2 უიკომბი

III დივიზიონი
გადადებული მატჩი
ლინკოლნი 1:1 კარლაილი

### ჩეხეთი

თასის 1/2 ფინალი
სპარტა 2:0 ბლშანი

### შვედეთი

თასის 1/4 ფინალი
გაის 3:0 ფრისკა

### ჰოლანდია

გადადებული მატჩი
ჰერენვენი 1:2 უტრეხტი

### პოლონეთი

XXXIII ტური
გროცლინი 2:1 გურნიკი
ვიძევი 0:1 ამიკა
რაძიონკოვი 1:0 პოგონი
ზაგლები 1:0 ოდრა
ვისლა 2:0 სტომილი
რუხი 3:1 შლიონსკი
პლოცკი 0:0 კატოვიცე
ლეგია 1:0 პოლონია

### ნორვეგია

IV ტური
ბრინი 1:3 ვიკინგი
ლინი 2:1 ბოდო გლიმტი
მოსი 0:3 როზენბორგი
ოდ გრენლანდი 4:1 ლილესტრიომი
სოგნდალი 1:0 სტაბეკი
სტრომსგოდსეტი 2:6 ბრანი
ტრომსიო 0:2 მოლდე

### დანია

თასის 1/2 ფინალი
I მატჩი
აკადემისკი 1:0 ვიბორგი

### ავსტრია

XXXII ტური
ლინცერი 1:3 ადმირა
შტურმი 2:1 ზალცბურგი

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია


REUTERS

კანადა — რუსეთი. რუსებმა კიდევ გაუშვეს

III ტური

A ჯგუფი
ბელარუსი — გერმანია 2:0 (1:0, 1:0, 0:0)

B ჯგუფი
ფინეთი — სლოვაკეთი 5:2 (0:0, 2:1, 3:1)
ავსტრია — იაპონია 3:2 (1:1, 2:1, 0:0)

C ჯგუფი
შვედეთი — აშშ 2:2 (1:0, 0:1, 1:1)
უკრაინა — ლატვია 4:2 (3:1, 0:0, 1:1)

D ჯგუფი
კანადა — რუსეთი 5:1 (3:0, 1:1, 1:0)

# კოპალას ბიჭები ეროვნულს არ დაემსგავსებიან

## მოთამაშეები და მწვრთნელი მეგობრობას და კარგ ურთიერთობას ირჩევენ



*ეროვნულზე უარესად ასპარეზობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მიმდინარე შესარჩევ ციკლში — მან ხომ სამივე მატჩი წააგო. თუმც ჩვენი უპირველესი გუნდისგან განსხვავებით, ოცდაერთწლამდელთა ნაკრებში საკადრო ცვლილებები მოხდა — მთავარი მწვრთნელის პოსტი მურთაზ ხურცილავას თანაშემწეს, ვახტანგ კოპალეიშვილს გადაულოცეს, რომელიც მანამდე კარგა ხანს თავკაცობდა თვრამეტწლამდელთა ნაკრებს და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ახლანდელი ახალგაზრდული ნაკრების ბირთვსაც უმეტესად მის ხელში გამოვლილი ფეხბურთელები შეადგენენ.*

*ყველაფერს წყვეტენ კადრები — ჩვენც ერთობ გვეიმედება ამ ცნობილი გამოთქმის და ვახტანგ კოპალეიშვილის. იტალიამდე დიდი დრო აღარ დარჩა, „კოპალას ბიჭებს" საქმეში მალე ვიხილავთ. მანამდე კი ახალგაზრდული ნაკრების ახალ თავკაცთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.*

**— საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებისგან ფურორს არავინ ელოდა, მაგრამ ამ შედეგით ყველანი გაწბილებულნი ვართ. რითი ახსნით ასეთ წარუმატებლობას?**

— რთული შეკითხვაა. ცუდი თაობა ნამდვილად არ გვყავს, 1979-81 წლებში დაბადებულ მოთამაშეებს ქართული ფეხბურთის მომავალი აბარიათ. მათ კისერზე ბევრი ბრძოლა, საფეხბურთო ბატალიები გადაივლის, ეს კარგად უნდა ჰქონდეს გათვითცნობიერებული ამ თაობას. მე მაინც მგონია, რომ წარუმატებლობების მიზეზი გამოუცდელობაა, აგრეთვე ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონე. ვენდობოდით ლეგიონერებს, რომელთა მზადყოფნის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვებოდა. თანაც შესარჩევი ციკლის დაწყებამდე გუნდმა 13 თამაში წაუგებლად ჩაატარა, ძირითადად ამხანაგური მატჩები და ოფიციალურში უკვე გაუჭირდა, ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა იჩინა თავი. ჩვენ უფრო მეტი ამხანაგური შეხვედრები და შეკრებები გვჭირდება.

**— განა ლიტვის ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელებს ჩვენებზე მეტი გამოცდილება აქვთ და უკეთეს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობენ?**

— ლიტვაში მოწესრიგებული საფეხბურთო მეურნეობაა, თორემ უკეთესი ფეხბურთელები ნამდვილად არ ჰყავთ. თანაც ერთი თამაშით არ განისაზღვრება ყველაფერი, ჩამოვლენ ისინი აქ და ვნახოთ. ვფიქრობ, რომ ლიტვაზე წინ ვდგავართ. მათ სათამაშო დისციპლინის, თამაშის ორგანიზაციის, საკუთარი კედლების ხარჯზე გვაჯობეს. რა თქმა უნდა, ჩვენც დავუშვით შეცდომები.

**— იტალიასთან წაგებას გვერდი ავუაროთ და რუმინეთთან მატჩზე ვთქვათ. ერთობ უსუსურად გამოვიყურებოდით და ეს, ალბათ, მოთამაშეთა უცნაურმა შერჩევა-განლაგებამაც განაპირობა.**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უფრო იმდროინდელი მთავარი მწვრთნელის პრეროგატივაა. ისე კი მართლაც ყველა კომპონენტში გვაჯობეს — სისწრაფეში, აზროვნებაში, ტექნიკაში...

**— რუმინეთთან მატჩში გამოჩნდა, რომ ლეგიონერებს რატომღაც განსაკუთრებულ ნდობას უცხადებდით და ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თქვენი მთავარი მწვრთნელობის დროსაც ასე იქნება?**

— არა, ლეგიონერების საკითხს სხვაგვარად მივხედავთ. სფფ-ის გენმდივან ვალერი ჩოლარიას დახმარებისთვის მივმართეთ და შევთანხმდით, რომ ყოველ კვირაში საშუალება გვექნება, ლეგიონერთა კლუბების ხელმძღვანელობას დავუკავშირდეთ და მათგან ჩვენს ფეხბურთელებზე ობიექტური ინფორმაცია მოვიპოვოთ.

**— კიდევ რითი იქნება განსხვავებული ვახტანგ კოპალეიშვილის ახალგაზრდული ნაკრები წინანდელისგან?**

— რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუას შევუცვლით, რამდენიმე ახალ მოთამაშეს დავიმატებთ, რომლებიც მანამდე ვერ ხვდებოდნენ ნაკრებში. აგრეთვე სერიოზულად მოვკიდებ ხელს გუნდის გაახალგაზრდავების პროცესს.

**— ეტყობა, ამ შესარჩევ ციკლში ხელი ჩაქნეული გაქვთ და მხოლოდ სამომავლო გეგმებზე ფიქრობთ?**

— არა, თეორიული შანსი ხომ კიდევ დაგვრჩა. უბრძოლველად არაფრის დათმობას არ ვაპირებთ, მაგრამ ამავე დროს მომდევნო შესარჩევ ციკლზეც უნდა ვიფიქროთ.

**— ადრეც იყო ლაპარაკი და ახლაც ხშირად გვესმის, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა ეროვნული გუნდის სტილით უნდა ითამაშოს. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?**

— იოჰან ბოსკამპის პერიოდში მართლაც იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, ეს აუცილებელი სულაც არ არის. ჩემი, როგორც მწვრთნელის სტილი სწრაფ აზროვნებას, ტექნიკას, თამაშის გაგებას და ალქმას ემყარება. გუნდში ასეთი ტიპის ფეხბურთელებს უფრო ავიყვან, ვიდრე კუნთმაგარ აზმახებს. შემოქმედი და გონებამახვილი მოთამაშეები მჭირდება.

თანაც, არა მგონია, ყიფიანმა და ძოძუაშვილმა მირჩიონ, ეროვნული გუნდივით ათამაშე ახალგაზრდული ნაკრებიო.

**— მოდით, სათამაშო რგოლზე ვთქვათ. ბოლო დროს ისეთი ტენდენცია წავიდა, რომ გიორგი ლომაიას გუნდში ალტერნატივა არ ჰყავდა...**

— ასე არ არის. ლომაია ერთ-ერთი ნიჭიერი მეკარეა საქართველოში, მაგრამ ჩვენ კიდევ გვყავს რამდენიმე ასეთი — მერლანი („ვიტ ჯორჯია"), ბათიაშვილი („დინამო"), ბედიაშვილი („გორდა"), ხმელიძე („როსტსელმაში"), სომხიშვილი („მილანი")... ძალიან მინდა და აუცილებელიცაა, მეკარეებს ახალგაზრდულ ნაკრებში ცალკე მწვრთნელი ჰყავდეთ. საამისოდ დავით გოგია შევიგულე და სფფ-ც თანახმაა.

**— დაცვაში ერთი შეხედვით კარგი მოთამაშეები კი გვყავს, მაგრამ საერთო ჯამში დაცვის ხაზით ნაღდად ვერ დავიკვეხნით. კვლავ აბრამიძე, წერეთელი და საჯაია იქნებიან წინა პლანზე?**

— წერეთლის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ის ხომ ჯერ უგუნდოდაა. ისე კი, საკმაოდ ძლიერი მცველები გვყავს, თუმც სავსებით შესაძლებელია, დაცვის ხაზში ბევრი რამ შეიცვალოს. უნივერსალური მცველები ძალიან ცოტანი არიან...

**— გიორგი შაშიაშვილზე რას იტყვით?**

— სხვათა შორის, მან ძალიან მოუმატა. „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" ამასწინანდელ მატჩშიც გამოჩნდა, რომ ის შემოქმედი ბიჭია. მისი დიდი დამსახურებაა, „დინამომ" ის თამაში რომ გადაარჩინა. მას ალბათ, იტალიასთან მატჩისთვის გამოვიძახებთ.

ელიკ საჯაიაზეც უნდა ვთქვა. მან კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე. საჯაიამ, ასე ვთქვათ, ამოწურა ჩვენ ჩემპიონატში თამაშის ლიმიტი. მას წინსვლისთვის კარგი ჩემპიონატის კარგი გუნდი ესაჭიროება.

**— ცვლილებები ალბათ ნახევარდაცვაშიც იქნება...**

— რა თქმა უნდა. ეს ყველაზე სუსტი რგოლია. მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მსურს ოლეგ გველესიანი („ბათუმი") გამოვცადო, შუაში უფრო ფართო არჩევანი გვაქვს: კვარაცხელია („სკონტო"), დიღმელაშვილი, ნოზაძე (ორივე „ვიტ ჯორჯია"), გვაზავა („ზიმბრუ"), კორღალიძე („სკონტო"). შესაძლოა, ლადო ბურდულიც („დინამო") მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შემოვწიოთ, რადგან ის ამ პოზიციაზე უფრო ძლიერია, ვიდრე ფლანგზე. მარჯვნივ კი მსურს, მენთეშაშვილმა („სკონტო") ითამაშოს. მალხაზ ასათიანი („ტორპედო") საქართველოში დღეს ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელია, ხვალინდელი დღე მისი უნდა იყოს.

აქ ერთიცაა — მენთეშაშვილხა და ასათიანს ეროვნულ ნაკრებშიც უხმობენ, ისევე როგორც ხაჯალიას და აბრამიძეს. კარგი იქნება, თუ წინასწარ შევიტყობ, უთმობენ თუ არა ამ ფეხბურთელებს ახალგაზრდულ ნაკრებს. ეროვნული გუნდის ძირითადში ვერმოხვედრას ახალგაზრდულში თამაში სჯობს. მაგრამ ამავე დროს მთავარი, რა თქმა უნდა, ეროვნული ნაკრებია, ყველანი მისი ინტერესებისთვის უნდა ვიღწვოდეთ.

**— წლეულს ერთი ისეთი ფეხბურთელიც გამოჩნდა, რომელსაც აქამდე არავინ იცნობდა, კოკა მიკუჩაძეს ვგულისხმობ.**

— მთლად მასეც არაა საქმე. კოკა მიკუჩაძეს („დინამო") სამი წლის წინათ დავაკვირდი, როცა „ჩოხელის თასზე" თამაშობდა. ეს ბიჭი ნელ-ნელა უმატებს, უდავოდ ერთ-ერთი შემოქმედი ფეხბურთელია ჩვენში, მაგრამ აუცილებლად უნდა მოლონიერდეს და ამავე დროს, ძლიერი მხარეებიც არ უნდა დაკარგოს. ჩამონათვალში ლადო ახალაიაც გამომრჩა. ისიც ნიჭიერია და ასეთ ფეხბურთელს არაფრის დიდებით დავკარგავ.

**— თავდასხმაზეც ვთქვათ. ალბათ, ისევ წიტაიშვილის („ირონი"), იმედაძის („ტორპედო"), მელქაძისა („ვიტ ჯორჯია") და ჯაკობიასი („ალტსი") გეიმედებათ.**

— მათ გარდა მხედველობის არეში გვყავს ბობოხიძე („ტორპედო") და მიქაძე („დინამო"). შესაძლოა, მიკუჩაძეც თავდასხმაში ვათამაშოთ, რადგან ნახევარდაცვაში უფრო მეტი გამძლეობაა საჭირო. იტალიასთან ვერ გავრისკავ, მაგრამ ისიცაა, რომ ნაკრებში ადგილი დაჯავშნული არავის ექნება.

გუნდში რევოლუციური ცვლილებები არ მოხდება, მაგრამ არც არავის ნიჭი და მონდომება დაიკარგება.

**— დაბოლოს, მაინც რა პრინციპებით გაიკვლევს გზას ვახტანგ კოპალეიშვილის ახალგაზრდული ნაკრები? რა პრინციპებს დაეყრდნობა მხოლოდ მწვრთნელი კი არა, მთლიანად გუნდი?**

— მთავარი მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის კარგი ურთიერთობაა. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაც ამას ადასტურებს. მწვრთნელი, რომელიც ობიექტურია, კომპეტენტურია და მართალია ფეხბურთელებთან ურთიერთობაში, მაგალითია მოთამაშეებისთვის. მას ყველა გაჰყვება. გუნდში ჯანსაღი კლიმატის შექმნაა მთავარი. ამას ზოგადად ვამბობ.

ახლავე მინდა ვთქვა ფეხბურთელების გასაგონადაც. თამაშამდე 2-3 დღით ადრე მათ მობილურებზე ლაპარაკს, ინტერვიუების მიცემას და სალექი რეზინის გამოყენებასაც კი ავუკრძალავ. დისციპლინა უმაღლეს დონეზე იქნება. ვფიქრობ, ბიჭები ყოველივეს გაგებით მოეკიდებიან. ამას ხომ მათთვის და ეროვნული საქმისთვის ვაკეთებ. და კიდევ, მოედანზე მეგობარს თამაში უნდა გაუადვილო — ჩემი გუნდის პრინციპი ეს იქნება.

**დავით თავართქილაძე**

# თემური და შოთა სუფთანი არიან



**იცნობთ** მეჰმედ ბინეტის? რატომღაც არა მგონია. სიმართლე გითხრათ, არც მე ვიცნობ და გამოგიტყდებით, მაინცდამაინც დიდი სურვილიც არ მაქვს, გავიცნო.

მაგრამ ის ბინეტი ქართული ფეხბურთის ერთი შავი დღის შემსწრეა და იმ დღეს ფიფასაგან საპასუხისმგებლო მისიით იყო მოვლენილი.

28 მარტს, საქართველო — რუმინეთის მატჩის დაწყებამდე ორიოდ საათით ადრე, „ეროვნულს" ვიღაც უცხოელი მოადგა, სათანადო საბუთები წარადგინა და დღევანდელი მატჩის ორ-ორი მონაწილისგან დოპინგ-კონტროლი უნდა ჩავიბაროო.

მეჰმედ ბინეტიმ ახლოსაც არავინ გაიკარა, ხმაც არავისთვის გაუცია, ოთხი კოლბა შარდი კეისში ჩადო და ისევე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

გამოხდა ხანი და ფეხბურთის ფედერაციაში ფიფას გენერალური მდივნის მიშელ ზენ რუფინენის ფაქსი მოვიდა. გენმდივანი იტყობინება, რომ საქართველოს ნაკრების ორი მოთამაშე — შოთა არველაძე და თემურ ქეცბაია, უცნაურმა უცნობმა დოპინგ-კონტროლზე რომ გაიყვანა, სუფთანი ყოფილანო. ზენ რუფინენს არც ტრადიციული ეტიკეტის დაცვა დავიწყებია, ფიფა მადლობას უხდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ბინეტისთვის მხარდაჭერისა და სამუშაო პირობების შექმნისთვის.

ყველაფერი კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩვენ ის გვაინტერესებს, ფიფას წარგზავნილმა კეისი რად დაიმძიმა და ჩვენებურთა შარდი ამხელა გზაზე რად წაიღო, 28 მარტს საქართველოს ნაკრებს დოპინგნაკრავისა რა ეტყობოდა.

თქვენ კი გული ნუ დაგწყდებათ, მეჰმედ ბინეტის რომ არ იცნობთ. ასეთებს მსოფლიოში ძალიან ვიწრო წრეში იცნობენ. ისინი ჩუმად და შეუმჩნევლად დაიარებიან, ფიფას წესია ასეთი.

**დათო დანელია**

# ირანელები ჯერ ბოლნისში შემოვლენ, მერე თბილისში

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი შემოდგომაზე ელის. როგორი საძნელო საქმეა ჯგუფიდან გასვლა, როცა მეტოქეებად ინგლისი და უნგრეთი გყავს, თავად განსაჯეთ. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ შესარჩევი ეტაპი ინგლისში ჩატარდება.

ჯგუფიდან გასვლის შანსი ძალიან მცირეა, მითუმეტეს, როცა დასკვნით ეტაპზე მოსახვედრად კიდევ ერთი შესარჩევი ჯგუფის დაძლევაა საჭირო, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი აბა, ვის გაუწყვეტია. ჰოდა, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებიც ემზადება. ხომ თქმულა, ცდა ბედის მონახევრეაო.

გელა გომელაურის გუნდი 12 და 15 მაისს პირველ საერთაშორისო მატჩებს ჩაატარებს. ჩვენებურთა მეტოქე ორივეჯერ ირანის ნაკრები იქნება. ირანელი 19-წლამდელები საქართველოში სტუმრად ჩამოვლენ და ქართველებს 12 მაისს ბოლნისში, ხოლო 15 მაისს თბილისში, „ეროვნულზე" გაუწევენ სპარინგ-პარტნიორობას.

ჩვენი 19-წლამდელთა გუნდის წევრებსაც მაშინ გავიცნობთ და მათზე გარკვეულ წარმოდგენასაც შევიქმნით.

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
ჟურნალისტებს, გამოცდილთაც და ახალბედებსაც, გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებლებს და მბეჭდავ-ოპერატორებს.
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14



გურამ ცუცქირიძის ფოტო

სადისციპლინო კომიტეტს გასარჩევი მრავლად დაუგროვდა

# განაჩენი: ერთი წელი გამცემლიძეს, პურმარილი მილჩენკოს და გაბელიას

ხალხმრავლობა იყო გუშინ ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის კაბინეტთან. „მილანი“, „მერანი“, „ლოკომოტივი“, „ივერია“, აი, იმ გუნდების ჩამონათვალი, რომელთა წარმომადგენლებიც გუშინ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე იყვნენ დაბარებულნი, ამათ დაუმატეთ მსაჯები, ინსპექტორები, სფფ-ის წარმომადგენლები და ცხადი გახდება, რომ გვარიანი ჯაფა დაადგათ დისციპლინარებს.

დღის მთავარი თემა, რაღა თქმა უნდა, წინა სხდომიდან გადმოტანილი „მილანის“ საკითხი იყო.

„გურია“ — „მილანის“ 22 აპრილის მატჩში სტუმართა ნახევარმცველმა პაატა გამცემლიძემ მსაჯ ავთანდილ შალამბერიძეს გაარტყა, ხოლო მსაჯობით აღშფოთებული „მილანის“ მენეჯერი მარიამ ფირცხალაიშვილი მოედანზე შეიჭრა და პოლიციელთა დასაშოშმინებელი გახდა. ერთი კვირის წინ გამართულ სხდომას შალამბერიძე და გამცემლიძე არ დასწრებიან, ამიტომაც განიხილეს ეს საქმე გუშინ.

მარიამ ფირცხალაიშვილის განცხადებით, მსაჯობა ერთობ მიკერძოებული იყო და შალამბერიძემ პროვოკაციაზე წამოაგო გამცემლიძე. ამის საპასუხოდ იმ მატჩის ინსპექტორმა მალხაზ კობიაშვილმა განაცხადა, რომ აღფრთოვანებული დარჩა მსაჯთა ბრიგადის გარჯით და მოგვიანებით არბიტრის შრომა 9,5 ქულით შეაფასა. ჩემი შეფასების სისწორეში 100 პროცენტით დარწმუნებული ვარო — თქვა კობიაშვილმა. დისციპლინარებმა შალამბერიძესაც მოუსმინეს: „ჯარიმა დავნიშნე, გამცემლიძე უკმაყოფილო დარჩა, შემომედავა და პროფილაქტიკის მიზნით ყვითელი ბარათი ვაჩვენე. ამაზე სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და წითელიც ამიტომ მივეცი. არც დაფიქრებულა, ისე გამარტყა“.

პაატა გამცემლიძის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეპპარვია: „მეტოქემ ოციოდე მეტრი ტრუსში ხელჩაჭიდებულმა მათრია, ბოლოს მეც დავქაჩე. მსაჯმა თამაში გააჩერა და ჯარიმა დანიშნა ლანჩხუთელთა სასარგებლოდ. მივედი და უბრალოდ ვკითხე, რისთვის დანიშნე-მეთქი ჯარიმა. ყვითელი მაჩვენა. არ უარვყოფ, შევიგინე, მაგრამ ამ დროს ზურგით მისკენ მიტრიალებული ვიყავი და ტრიბუნების რეაქციით მივხვდი, რომ წითელი ბარათი მაჩვენა. სრულიად უბრალო ვიყავი და წყობიდან ამან გამომიყვანა. მერე რაც გავაკეთე, ბოლომდე ახლაც არ მაქვს გააზრებული, ის კი ვიცი, რომ ცუდად მოვიქეცი, ნერვები უნდა მომეთოკა და გულწრფელად ვინანიებ მომხდარს“.

კვლავაც ემოციური იყო მარიამ ფირცხალაიშვილი: „პაატა წვრილშვილიანი ოჯახის მამაა, ფეხბურთით შოულობს ფულს და გთხოვთ, ამ საქმეს ნუ ჩამოაშორებთ. ისედაც დასჯილია, 300 ლარი დავუქვითეთ, მომხდარს საშინლად განიცდის, გუნდის ხელმძღვანელებს ვერ ენახვება, თავისი გაჭირვება ამყოფინეთ და იქნებ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმაროთ“.

დისციპლინართაგან უმრავლესობას ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ გამცემლიძეს განაჩენი დებულებამ გამოუტანა. იქ კი შავით თეთრზე წერია, რომ მსაჯის, ინსპექტორის ან მატჩის სხვა ოფიციალური პირის ცემისთვის ფეხბურთელს თორმეტთვიანი დისკვალიფიკაცია და 1000-ლარიანი ჯარიმა ელის.

დისციპლინარებმა დებულების ამ პუნქტში ოდნავი კორექტირება შეიტანეს, გამცემლიძე ერთი წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს, მაგრამ აქედან ოთხი თვე პირობით დისკვალიფიკაციად მისცეს და 1000 ლარის გადახდაც დააკისრეს. მოკლედ, სადისციპლინო კომიტეტმა არც მწვადი დაწვა, არც შამფური, დებულებაც არ დაურღვევია და განსასჯელსაც შეღავათი მისცა, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. განაჩენის მიხედვით, გამცემლიძეს 8 თვის შემდეგ შეუძლია თამაში, ანუ პირველი იანვრიდან, მაგრამ ჩვენში ახალი საფეხბურთო სეზონი მარტში დაიწყება. ასე რომ, მილანელს თითქმის ერთი წელი გამოსდის უსაქმოდ ყოფნა.

გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა „მილანის“ მენეჯერმა ბევრი ცრემლი ღვარა და აღელვებული გავიდა რექტორის კაბინეტიდან, გავიდნენ გამცემლიძე, კობიაშვილი და შალამბერიძეც და რამდენიმე წუთში მათ შორის ლამის ხელჩართული ჩხუბი ატყდა. გამცემლიძემ მშვიდად ჰკითხა შალამბერიძეს, რატომ, რისთვის გამიკეთე ასეთი რამო? და მერე იქვე მდგომ კობიაშვილს მიუბრუნდა, რა ნამუსით დაუწერეთ მაღალი შეფასებაო. ნამუსზე შეგდებამ მოთმინებიდან გამოიყვანა კობიაშვილი, გაწევ-გამოწევაში მარიამ ფირცხალაიშვილიც ჩაება და საჯარიმო 1000 ლარის გადახდით და ერთი წლით მსაჯობაზე თავის დანებებით დაემუქრა შალამბერიძეს. ერთმანეთზე წაკიდებულნი ხმაურზე თავმოყრილმა ხალხმა გააშველა.

„მილანს“ კი გუშინ ერთი განაჩენიც გამოუტანა სადისციპლინო კომიტეტმა. მარიამ ფირცხალაიშვილის მოედანზე შეჭრისთვის დისციპლინარებმა უკანასკნელი გაფრთხილება მისცეს წნორის გუნდს.

ისე, საგულისხმოა ერთი რამ. „მილანელთა“ თქმით, არსებობს იმ მატჩის ვიდეოფირი, რომელზეც ცხადად ჩანს მომხდარი ეპიზოდი, სადაც გამცემლიძე არანაირ აგრესიას არ გამოხატავს შალამბერიძის მიმართ (არბიტრმა თქვა, ხელების შლა დამიწყო და ამიტომ გავაყვითლეო), მაგრამ დისციპლინარებმა რატომღაც ამ ფირის ნახვა საჭიროდ არ ჩათვალეს.

გუშინდელ სხდომაზე გაფრთხილება მისცეს ხაშურის „ივერიას“ ხელმძღვანელებს. „ივერია“ — „თორის“ მატჩის მსაჯების პატაკით, ხაშურელებს გასახდელში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიუყენებიათ თემიდელთათვის.

17 აპრილს, „ვიტ ჯორჯია“ — „მერანის“ მატჩის ინსპექტორის ანატოლი მილჩენკოს დირექტივით სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს „მერანის“ თავკაცი ოთარ გაბელია. მოტივი — ისევ და ისევ მსაჯების გინება.

არ ვიცი, რა დავუშავე ამ კაცს, კონკრეტულად არავისთვის მიგინებია და რას მემართლებაო, თქვა გუშინ სხდომაზე მისულმა ოთარ გაბელიამ.

განაჩენის მიღებისას სადისციპლინო კომიტეტის წევრმა რეზო ჩილაჩავამ სხდომის თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილს დაასწრო. ოთარი კაცური კაცი და ღირსეული პიროვნებაა, სიფიცხით მოუვიდა ყველაფერი, ოდენ გაფრთხილება ვაკმაროთ და პირობას ვდებ, ჩემი ხარჯით გავშლი პურმარილს და მილჩენკოსთან შევარიგებო.

28 აპრილს სენსაციურად დასრულებულ „მერანი“ — „ლოკომოტივის“ მატჩში (ავჭალელებმა 1:0 დაამარცხეს ჩემპიონობის მაძიებელი რკინიგზელები) გულშემატკივრის გინებისთვის ალექსანდრე კრიჭაშვილმა „ლოკომოტიველი“ დავით ჭიჭვეიშვილი გააძევა მოედნიდან. წესრიგის დამრღვევს გუშინ განაჩენი გოგი დემეტრაძემ გამოუტანა. სასჯელად ისიც გეყოფა, შენს გამო რომ წააგო გუნდმა, ამიტომ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას და 50-ლარიან ჯარიმას გაგყოფინებთო — უთხრა თავჩაღუნულ ფეხბურთელს დემეტრაძემ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ოფლის ფასად



წყალტუბო
1 მაისი
18 საათი
26 მაისი
1 000 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 შუქურა**

1:0 დარსაძე (63), 2:0 ლონდაძე (90)
22-ე წუთზე ფრანგიშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (მეკარე)
**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, ფრანგიშვილი, ჭელიძე, მ. ჯინჭარაძე (კობალიანი 46), დარსაძე (ზვ. ფხაკაძე 86), კიკვიძე, თურმანიძე, კვერნაძე, შ. ფუტკარაძე (შ. ლონდაძე 74), ზვ. ქუთათელაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე, ცუცქირიძე, ვადაჭკორია, ჟიქია
**შუქურა:** გოგუა, ქუტიძე, ჩელებაძე, ოქრობირიძე, ლომთათიძე, ბ. ფუტკარაძე (ჩახუნაშვილი 85), ბაჟუნაიშვილი, თ. კვირკველია, ყალიჩავა, კაკალაძე, კალანდაძე
სათადარიგონი: პერმინოვი, მესხიძე, დიასამიძე, კოროტკოვი
**გაფრთხილება:** ლომთათიძე (51), კვერნაძე (61)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა, ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

„სამგურალმა“ და „შუქურამ“ 20-20 ქულით დაიწყეს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. აქედან, ამათი ზედა ლიგაში აღზევების შანსები თანაბრად ფასდება, მაგრამ ზღვისპირელებმა ერთობ უხეიროდ ითამაშეს აპრილში, სამ საშინაო ფრეს დასჯერდნენ და პრაქტიკულად უმაღლესში მოხვედრის შესაძლებლობაც დაჰკარგეს. გაცილებით უკეთესად გაისარჯნენ ამ პერიოდში წყალტუბოელები. მათ 8 ქულა შემატეს საკუთარ მარაგს და „შუქურას“ დამარცხების შემთხვევაში ლიდერთა ტრიოში დაიმკვიდრებდნენ ადგილს.

ერთი სიტყვით, გუშინდელ დავაში ფავორიტად „სამგურალი“ ითვლებოდა და წყალტუბოელებმა სასურველ გამარჯვებასაც მიაღწიეს, ოღონდ მასპინძლებს მართლაც რომ დიდი ოფლისღვრა დასჭირდათ სამი ქულის მოსაპოვებლად. როგორც აღმოჩნდა, „შუქურა“ სულაც არ აპირებდა უბრძოლველად მატჩის დათმობას.

საწყის ოც წუთში მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. თანაბარ თამაშში საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. მასპინძლებმა თანდათან უმატეს ტემპს და 22-ე წუთზე დაწინაურების საუკეთესო შანსი მიეცათ. ქობულეთელმა მცველმა ხელით ითამაშა საკუთარ საჯარიმოში და არბიტრმაც უმალ 11-მეტრიანი ნიშნულისკენ მიათითა. წყალტუბოელებმა პენალტის დარტყმა ფრანგიშვილს მიანდეს და... ვერაფერს გახდა მეკარესთან „სამგურალის“ ლიბერო. გოგუამ მარცხენა დაბალ კუთხეში დარტყმული კუთხურზე გადააგდო. სტუმართა გამოცდილმა გოლკიპერმა შესვენებამდე კიდევ ოთხჯერ იხსნა თავისიანები. 26-ე წუთზე გიამ ზედიზედ მოიგერია ქუთათელაძის ახლოდან დარტყმულები, შემდეგ არც მალხაზ ჯინჭარაძეს და დარსაძეს გაატანინა. სტუმრები პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, ერთხელ დაემუქრნენ ბოდოკიას კარს. მე-40 წუთზე ბადრი ფუტკარაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერად დაჰკრა, ოღონდ ბურთი მცირედით ასცდა მიზანს.

მოვლენათა ასეთი განვითარება, ცხადია, „სამგურალს“ ხელს არ აძლევდა და თამაშის განახლებისთანავე მასპინძლებმა დიდი ძალებით შეუტიეს მეტოქეს. სტუმრებმაც ლამის მთელი გუნდით უკან დაიხიეს და თავგამოდებითაც იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს. „შუქურა“ მხოლოდ 63-ე წუთზე გატყდა. ქუთათელაძის ახლოდან დარტყმულზე გოგუამ კი იყოჩაღა და მოიგერია ბურთი, მაგრამ მეკარეს მცველებმა უმტყუნეს, დარსაძეს ახლოდანვე დაამატებინეს და ანგარიშიც გაიხსნა.

და მაინც, „შუქურამ“ ბოლომდე იბრძოლა. ზღვისპირელებმა რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს და ერთხელ ახლოსაც იყვნენ მიზანთან. 89-ე წუთზე მასპინძლები ბეწვზე გადაურჩნენ კალანდაძის დარტყმულს. უკვე დამატებულ დროში „სამგურალის“ საპასუხო შეტევა კი დიდი ხნის უთამაშებელი შალვა ლონდაძის გოლით დაგვირგვინდა.



გორი
1 მაისი
16 საათი
ძარი[illegible]
300 (ტევადობა 2 000)

**ცხინვალი 0:0 მილანი**

**ცხინვალი:** ქესანაშვილი, არუთინიანი (ბოჭორაძე 25), ელისაშვილი, ტყემალაძე, ვაჩნაძე-შვილი, მოსიაშვილი, თალაკვაძე, მარგიევი, მარღიშვილი, ნასუაშვილი (ზ. მაისურაძე 60, კობაური 89), ციცქიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე, ჩაჩიბაია, წიქარიძე
**მილანი:** გ. სომხიშვილი, ლუდუშაური, ტარუღაშვილი, მეტონიძე, კობაიძე, გოლეთიანი, ვარამაშვილი (სოსელია 78), მედოევი, ბარამიძე, ქვინია, ტოკლიკიშვილი
**სათადარიგონი:** მ. სომხიშვილი, ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, ჩიტაური
**გაფრთხილება:** ტყემალაძე (67)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ა. შალამბერიძე, მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**I-VI ადგილები**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 32 |
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:3 | 31 |
| სამგურალი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:2 | 31 |
| მეტალურგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 29 |
| ცხინვალი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 25 |
| შუქურა | 6 | 0 | 3 | 3 | 2:8 | 23 |

**მეშვიდე ტური**

**I-VI ადგილები**

5 მაისი, შაბათი
მილანი — მეტალურგი
გურია — შუქურა
6 მაისი, კვირა
ცხინვალი — სამგურალი

**VII-XII ადგილები**

6 მაისი, კვირა
თბილისი — ხობი
ზუგდიდი — ივერია
ოკეანე — თორი



ზესტაფონი
1 მაისი
18 საათი
მეტალურგი
2 000 (ტევადობა 10 000)

**მეტალურგი 1:1 გურია**

1:0 გვაზავა (5), 1:1 ვოსკანოვი (34)
**მეტალურგი:** თ. ოდიკაძე, გოგაძე (დ. ოდიკაძე 70), ლურსმანაშვილი, მაღლაკელიძე, გურეშიძე, გეწაძე, კაციაშვილი, ამაშუკელი, ორმოცაძე (ლონდაძე 85), გ. გვაზავა, ფირცხალაიშვილი
სათადარიგონი: მერკვილიშვილი, ფანცხავა, მგრებაშვილი, მემარნიშვილი, აჭარაძე
**გურია:** დოლიძე, ორბელაძე, გაბრიჭიძე, ძნელაძე, ჟღარკავა (სამხარაძე 89), სულაკაძე, ქიქავა, ჩიტაია (განევი 57), ენდელაძე, ვოსკანოვი, პატარაია (კირკიტაძე 86)
სათადარიგონი: ლორია, ფაცურია, ვასაძე, შევრილაძე
**გაფრთხილება:** ამაშუკელი (63), ორმოცაძე (64), გეწაძე (66), ორბელაძე (66), გვაზავა (69), ქიქავა (86)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**VII-XII ადგილები**

**მეექვსე ტური**

**ხობი 4:1 თორი**

**ივერია 4:0 ოკეანე**

**თბილისი 3:0 ზუგდიდი**

„ზუგდიდი“ მოხსნილია ჩემპიონატიდან, „თბილისს“ ჩაეთვალა მოგება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხობი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:3 | 26 |
| თორი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 25 |
| თბილისი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:4 | 21 |
| ოკეანე | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 19 |
| ივერია | 6 | 2 | 1 | 3 | 9:7 | 15 |
| ზუგდიდი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 12 |



ჰორსტ მიულერის ფოტო

ანდრეას ბილაუ და ალექსანდრე ჩივაძე

# საფეხბურთო კლუბი თბილისის დინამო წარმოგიდგენთ

## დიუსელდორფობა თბილისში

### რეჟისურა — თეატრალური სარდაფი, პროდუსერი — დინამო, ფინანსური მხარდაჭერა — ძმები არველაძეები

**რეგისტრაციაში** ახალგატარებული იყო „დინამო“, მისმა ხელმძღვანელობამ დიუსელდორფის ტრიუმფის ოცი წლისთავისთვის ზეიმის მოწყობა რომ განიზრახა. თბილისის „დინამოს“ და საერთოდ ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ გამარჯვებას სწორედაც რომ სათანადო აღნიშვნა შეშვენის.

მენტალური მხარე იქით იყოს და ყველაფერს ფული სჭირდება. „დინამოს“ თავკაცობამაც ბიზნესმენებს მიმართა, მაგრამ „ახალმა ქართველებმა“ შორს დაიჭირეს. არადა, „კარლ ცაისის“ ვეტერანთა მგზავრობა, დაბინავება, მატჩის მოწყობა და ათასი წვრილმანის მოგვარება ცოტა თანხა როდი ჯდება. 13 მაისი ახლოვდებოდა, ფული კი არსაიდან არ ჩანდა, ჩაშლის პირას იყო ყველაფერი. მაგრამ...

თანხა შოთა და არჩილ არველაძეებმა გაიღეს. თითქოს ყინული დაიძრაო, რამდენიმე ფირმაც ჩაერთო საქმეში. „ოილენდი“, „ლევონ ტრეველი“, „ცივი ჩაი“, „ალდაგი“, „სანეტი“, „რევკო“, „კევი ჯორჯია“, „მაკდონალდი“, „იბერ კომპანი“ და TBC ბანკი. „დინამო“ — „კარლ ცაისის“ ვეტერანთა მატჩისთვის მათი სარეკლამო დაფები საგანგებოდ დამონტაჟდება ეროვნულ სტადიონზე.

ტყუპების მიერ გაღებული თანხის მთლიანად ამოღება რომც ვერ მოხერხდეს, არველაძეები მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში კიდევ გაიღონ ფული. ერთი სიტყვით, შოუს მოწყობას ფინანსური პრობლემები ვერ დააბრკოლებს.

შოუ-პროგრამა 13 მაისს 20 სათსა და 45 წუთზე დაიწყება. თვით მატჩი 21 საათზე, მაყურებელი არც ტაიმებს შორის მოიწყენს. ყოველივე შებინდებისას იმიტომ მოეწყობა, რომ ზეიმი „ეროვნულზე“ ფოირვერკებითაც აკამკამდეს. შოუსთვის საფეხბურთო კლუბმა „დინამომ“ საგანგებოდ მიიწვია რეჟისორი „თეატრალური სარდაფიდან“ და კიდევ, ღონისძიებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თეთრიც არ დაიხარჯება.

ვეტერანთა მატჩისთვის თანხმობა განაცხადა თბილისის „დინამოს“ ყველა ფეხბურთელმა, რომლებიც 1981 წლის 13 მაისისათვის იყვნენ განაცხადში. მე-6 ნომრად კი ვიტალი დარასელია უმცროსი ითამაშებს. მწვრთნელობას გივი ნოდია და სერგო კუტივაძე გასწევენ.

სტუმრებზეც მოგახსენებთ. გერმანელები ოცკაციანი დელეგაციით გვეწვევიან, რომლის ხელმძღვანელიც ლოთარ კურბიუვაიტი იქნება. საფეხბურთო კლუბმა „კარლ ცაისმა“ თავისი წარმომადგენლობის სრული სია გუშინ აახლა „დინამოს“.

*ფეხბურთელები: ჰანს-ულრიხ გრაპენტინი, რუდიგერ შნუპხაზე, გერტ ბრაუერი, ლოთარ კურბიუვაიტი, ვოლფგანგ შილინგი, გერჰარდ ჰოპე, ულრიხ ოვერმანი, ანდრეას კრაუზე, ლუც ლინდენმანი, ანდრეას ბილაუ, აქსელ ვიტკე, მარიო რიოზერი, თომას ფოგელი, დიტერ შეირლერი, ჰარალდ ირშნერი, იურგენ ვერნერი.*

*პრეზიდენტი — ერნსტ შმიდტი*

*ექიმი — იოჰანეს როტი*

*მწვრთნელი — ჰელმუტ შტაინი*

*კლუბის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი — დიტერ ვოლფი*

„კარლ ცაისს“ ვერ ჩამოჰყვება მისი ოცი წლის წინანდელი მთავარი მწვრთნელი ჰანს მაიერი, რომელიც მეორე ბუნდესლიგის „მიონხენგლადბახს“ თავკაცობს.

მატჩზე დასასწრები აკრედიტაციებისთვის ჟურნალისტებმა თბილისის „დინამოს“ პრესატაშე გიორგი კოღუაშვილს უნდა მიმართონ.

**დავით თავართქილაძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ჰიცფელდი მეტოქეს ჭაობში ითრევს
## გერმანულმა დამცველებმა მესპანურ ძაბვას გაუძლეს

**ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პირველი მატჩი**

## რეალი 0:1 ბაიერნი
**მადრიდი. «სანტიაგო ბერნაბეუ». 75 000 მაყურებელი**

0:1 ელბერი (55)

კასილიასი, სალგადო (მუნიტისი 77), რობერტო კარლოსი, კარანკა, იერო, ელგერა, მაკელელე, მაკმანამანი, ფიგუ, რაული, გუტი (სავიო 54)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

კანი, კუფური, ანდერსონი, ლინკე, სანიოლი, ლიზარაზუ, იერემისი, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, შოლი (პაულო სერჯიო 72), ელბერი (იანკერი 74)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

გაფრთხილება: კანი, ეფენბერგი, მუნიტისი, იერო

**მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)**

| | | |
|---|---|---|
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 5 | კარში დარტყმა | 4 |
| 18 | ჯარიმა | 14 |
| 12 | კუთხური | 2 |
| 5 | თამაშგარე | 3 |





**ოტმარ ჰიცფელდი**, „ბაიერნის“ მწვრთნელი თავის ფეხბურთელებთან ერთად კარგა ხანს ზეიმობდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამარჯვებას. დაცვის და მეკარე კანის ფანტასტიკურ თამაშს აქებდა, თუმცა კარგად ხვდება, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლამდე ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა აქვს გადასატანი: „გამარჯვების საფუძველი კარგად მომზადებულმა დაცვამ შექმნა. უკანა ხაზმა ამოცანას დიდებულად გაართვა თავი. ერთი შეხედვით, ანგარიში თითქოს უსამართლოა, „რეალს“ ხომ გატანის უამრავი შესაძლებლობა ჰქონდა, მაგრამ კანმა და პატრიკ ანდერსონმა ყველაფერი გადაკეტეს. იმასაც გეტყვით, რომ საპასუხო მატჩში ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — ასეთია ჰიცფელდის მოსაზრება.

დიახ, თამაშიდან გამომდინარე „ბაიერნის“ მოგება ეგებ, ცოტა უცნაურიც ჩანდეს, მაგრამ ოლივერ კანის მართლაც ზღაპრულმა თამაშმა და ჯოვანი ელბერის უეცარმა გოლმა სტუმრებს გაამარჯვებინა.

არ ვიცი, ვის როგორ, მაგრამ, მგონია, რომ ჰიცფელდმა დელ ბოსკეს ტაქტიკურად მოუგო. ისევე, როგორც მეოთხედფინალში ალექს ფერგიუსონს. „ბაიერნმა“ სწორედ ტაქტიკური განსწავლულობით აჯობა ობიექტურად უფრო ძლიერ „რეალს“. მადრიდელთა პრობლემებმა მეორე ტაიმში ნათლად იჩინა თავი. „სამეფო კლუბი“ თითქმის მთელ სეზონს ერთი და იმავე შემადგენლობით ატარებს, რაც ასეთი თავბრუდამხვევი კალენდრის პირობებში მეტად სახიფათოა. აი, დელ ბოსკეს მეორე ტაიმში ზეწოლის გაძლიერება დასჭირდა, მაგრამ სათადარიგოთა შორის ისეთი არავინ აღმოჩნდა, ვითარებას რეალურად რომ უშველიდა. ვერც სავიომ და ვერც პედრო მუნიტისმა ევროპის საკლუბო ჩემპიონის თამაშს სიმწვავე ვერ შემატეს. ბავარიელებმა კი სწორედ სათამაშო დისციპლინითა და გუნდურობით მოიგეს.

არადა, პირველ ტაიმში „რეალი“ სჯობდა მეტოქეს. ჯერ იყო და სალგადო მოწინააღმდეგის საჯარიმოში ლიზარაზუს გაექცა, კარის გასწვრივაც ჩააწოდა, მაგრამ მასპინძელთაგან ბურთს ვერავინ მიუსწრო, შეიძლება ითქვას, ცარიელ კარში ვერ გაიტანეს. მერე ლინკემ ფიგუ ზედ საჯარიმოს ხაზთან წააქცია, მაგრამ რობერტო კარლოსმა კედელს ვერ ააცილა. 29-ე წუთზე ფიგუმ დიდოსტატური პასით რაული მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა ოდნავ უზუსტოდ დაარტყა. მალევე ელგერამ ჩააწოდა საჯარიმოში სახიფათოდ, თუმცა მცველებს გამკლავებული გუტი ბურთს ვერ შესწვდა.

მეორე ტაიმში კი მოხდა ის, რაზეც ზემოთ ვთქვით. მართალია, „რეალს“ შეტევები არ შეუწყვეტია, მაგრამ „ბაიერნი“ უკვე მყარად იდგა ფეხზე. ჯერ შოლმა ერთობ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა უხეიროდ, 55-ე წუთზე კი ჯადო-გოლი გავიდა: „ბაიერნის“ ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა მადრიდელთა კარიდან სადღაც 25 მეტრში მიიღო ბურთი და ცაციათი შეუჩერებლივ დაარტყა, ბურთი ორჯერ შეეხო მინდორს, მეორედ ზედ კასილიასის წინ ახტა და ბადეში გაეხვა. „რეალის“ მეკარე მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის მზად არ აღმოჩნდა.

მერე კი, მერე კანის ჯერიც დადგა. თითქოს სირცხვილნაჭამ ჭაბუკ მადრიდელ კოლეგას ეუბნებოდა: სად შენ და სად მეო... ეს ქერა გოლიათი მართლაც „რკინის კედელივით“ გადაეფარა საკუთარ კარს.

ბოლოს „ბაიერნს“ ანგარიშის გაორებაც შეეძლო, საჯარიმოში შეჭრილმა პაულო სერჯიომ კასილიასს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ კარში ვერ მოარტყა.

იყო კიდევ ერთი მომენტი, რომლის შესახებაც საერთო აზრი ეგრეც ვერ გამოიტანეს. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე სტუმართა კაპიტან შტეფან ეფენბერგს თავის საჯარიმოში ბურთი ხელზე მოხვდა, მართალია შემთხვევით, მაგრამ მოხვდა. შოტლანდიელმა არბიტრმა პენალტი არ დანიშნა. დაბეჯითებით მტკიცებას ჩვენც მოვერიდებით, რადგან ასეთი ვითარებაში დანიშნული თერთმეტმეტრიანიც არა ერთი გვინახავს და დაუნიშნავიც. სხვათა შორის, ეფენბერგი ფიგუსთან უხეშობისთვის გააფრთხილეს და საპასუხო მატჩს გამოტოვებს: „ჩვენთვის სასურველ შედეგს მივაღწიეთ და „რეალს“ საქმის გამოსწორება ძალიან გაუჭირდება. თუ მიუნხენში უარესად არ ვითამაშეთ, ვფიქრობ, ფინალში გავალთ“ — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ეფენბერგმა.

„თავიდან „რეალმა“ გვაჯობა და ეს ბუნებრივიცაა, მადრიდელები ხომ შინ თამაშობდნენ. მაგრამ გავუძელით და მეორე ტაიმში სახიფათოდაც შევუტიეთ. მასპინძლები კი მეტად გაიხსნენ და ამიტომაც გავიტანეთ“ — დასძინა ოტმარ ჰიცფელდმა. მას „რეალის“ მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკეც დაეთანხმა: „თავიდანვე მედგრად შევუტიეთ, მაგრამ გერმანელები მაგრად დაგვიდგნენ. მათ ჩინებულად ითამაშეს უბურთოდ და სასურველ შედეგს მიაღწიეს. ჩვენ ყველა ღონეს მივმართეთ, ხან ფრთებიდან ვუტევდით, ხან გრძელი თუ მოკლე გადაცემებით გვინდოდა მეტოქის დაცვის გატეხვა, მაგრამ ამაოდ. თუმცა წინ საპასუხო მატჩია. გარწმუნებთ, ბოლო წამამდე არ დავნებდებით“ — თქვა დელ ბოსკემ.

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი სამშაბათის მადრიდულ საღამოს თავისებურად აფასებს: „პირველ ტაიმში „რეალმა“ სასწაულით ვერ გაგვიტანა. ვიცოდი, რომ მასპინძლები ინიციატივის თავიდანვე ხელში ჩაგდებას ეცდებოდნენ. ბევრი საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ჩვენ გაგვიმართლა. დრო და დრო კი მოწინააღმდეგეს საკუთარ ნებაზე თამაშს ვანებებდით, რაც ასეთი დონის მატჩში დაუშვებელია. მეორე მხრივ, არა მგონია, რომ მადრიდელებმა ჯეროვნად ვერ შეგვაფასეს. ბოლო ერთი წლის მანძილზე ხომ მათ ხუთჯერ შევხვდით და ოთხჯერ მოვუგეთ“...

**სოლომონ გულისაშვილი**



რობერტო კარლოსმა გერმანულ კედელს ვერაფერი დააკლო



ზინედინ ზიდანი

# ვის რამდენი შესდის?

**საქვეყნოდ** ცნობილმა „ფრანს ფუტბოლმა“ ასევე საქვეყნოდ ცნობილ ფეხბურთელებს წლიური შემოსავალი დაუთვალა და მოწინავე ოცეულიც გამოაქვეყნა.

სიას სათავეში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზინედინ ზიდანი უდგას, რომლის წლიური შემოსავალიც 8 მილიონ გირვანქას აჭარბებს. ტურინის „იუვენტუსი“ ნახევარმცველს წელიწადში 3 მილიონ გირვანქას ხელფასს უხდის, დაახლოებით 600 ათასს კი პრემიას, მაგრამ დღეს ფეხბურთელები მარტო ხელფასზე როდი ცხოვრობენ. უმეტესწილად უფრო მეტ თანხას მათ სარეკლამო კონტრაქტებიდან უხდიან. ზიდანს „ადიდასთან“ და „ფორდთან“ აქვს საქმიანი ურთიერთობა და მათგან 4,5 მილიონი გირვანქა [illegible]-რად. ამრიგად, საერთო შემოსავალი 8 მილიონ 100 ათასი გირვანქა გამოვიდა.

„იუვენტუსის“ ნახევარმცველს 2 მილიონით ჩამორჩება „რომას“ არგენტინელი თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა, ხოლო ცხრილში მესამე ადგილზე რონალდოა 5,2 მილიონი გირვანქით.

ამრიგად, გამოდის, რომ ყველაზე მაღალშემოსავლიანი სამეული იტალიაში მოღვაწეობს. მსოფლიოში მეოთხე, ხოლო ესპანეთში პირველი რაულია — 5,1 მილიონი გირვანქა, მას ისევ იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო მოსდევს.

გაგიკვირდებათ, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავი დევიდ ბექემი ცხრილის მეათე საფეხურზე მიჩქმალულა. მის მეუღლე ვიქტორია ადამსსაც ხომ სწორედ ეს აღელვებს, ქმარიც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჯამაგირის მომატებას სთხოვს და კლუბის დატოვებით იმუქრება.

ისე, ცოტა არ იყოს, სარცხვია, როცა დევიდ ბექემს უფრო ნაკლები შემოსავალი აქვს, ვიდრე ჰიდეტოში ნაკატას — „რომას“ იაპონელი მერვე ადგილზეა.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ წუწკი [illegible]ბი რომ არ გეგონოთ, გეტყვით, რომ ელიტარულ ოცეულში იგი ყველაზე მეტი, ოთხი ფეხბურთელითაა წარმოდგენილი — დევიდ ბექემით, როი კინით, რაიან გიგზით და ფაბიენ ბარტეზით.

ჰიდეტოში ნაკატა ვახსენეთ და აქვე გეტყვით, რომ „რომა“ მას სულაც არ უხდის სოლიდურ ხელფასს. უბრალოდ, იაპონელს ერთბაშად სამ კომპანიასთან — „ქენონთან“, „მასტერკარდთან“ და „ნაიკთან“ აქვს კონტრაქტი გაფორმებული, რაც, ცხადია, შემოსავალს მომატებას ზრდის.

ქვეყნების მიხედვით თუ დავითვლით, ოციდან ათი ფეხბურთელი იტალიაში თამაშობს, ოთხი ინგლისსა და ესპანეთში, ხოლო თითო-თითო გერმანიასა და საფრანგეთში. ბუნდესლიგიდან „შალკე 04“-ში მოთამაშე ანდრეას მიოლერია, ხოლო საფრანგეთის ჩემპიონატიდან პარისენჟერმენელი ნიკოლა ანელკა.

**ნიკა შუბლაძე**

## ყველაზე დიდშემოსავლიან ფეხბურთელთა ოცეული

| | | |
|---|---|---|
| 1 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) |
| 2 | გაბრიელ ომარ ბატისტუტა | რომა (რომი, იტალია) |
| 3 | რონალდო | ინტერი (მილანი, იტალია) |
| 4 | რაული | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) |
| 5 | ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი (ტურინი, იტალია) |
| 6 | რივალდო | ბარსელონა (ესპანეთი) |
| 7 | კრისტიან ვიერი | ინტერი (მილანი, იტალია) |
| 8 | ჰიდეტოში ნაკატა | რომა (რომი, იტალია) |
| 9 | ლუიშ ფიგუ | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) |
| 10 | დევიდ ბექემი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 11 | როი კინი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 12 | ერნან კრესპო | ლაციო (რომი, იტალია) |
| 13 | ფაბიენ ბარტეზი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 14 | სტივ მაკმანამანი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) |
| 15 | ხუან სებასტიან ვერონი | ლაციო (რომი, იტალია) |
| 16 | ანდრეას მიოლერი | შალკე 04 (გელზენკირხენი, გერმანია) |
| 17 | პაოლო მალდინი | მილანი (იტალია) |
| 18 | რაიან გიგზი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| 19 | ფრანჩესკო ტოტი | რომა (რომი, იტალია) |
| 20 | ნიკოლა ანელკა | პარი სენ ჟერმენი (პარიზი, საფრანგეთი) |

Copa Toyota Libertadores '2001

**ლიბერტადორესის თასი 2001**

IV ჯგუფი. VI ტური

კრუზეირო (ბრაზილია) 3:1 ოლიმპია (პარაგვაი)

ემელეკი (ეკვადორი) 3:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 16 |
| ემელეკი | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| ოლიმპია | 6 | 1 | 2 | 3 | 10:13 | 5 |
| სპორტინგ კრისტალი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:13 | 3 |

ბრაზილიის „კრუზეირო“ და ეკვადორის „ემელეკი“ გავიდნენ მეორე ეტაპზე

# შირერის ერთგულება 1 000 000 ღირს



ალან შირერი

**საზოგადოდ,** ერთგულება ფულით არ იზომება, მაგრამ თურმე გამონაკლისიც არსებობს.

ხუთი წლის წინ, როცა ალან შირერი „ბლექბერნიდან" „ნიუკასლში" გადავიდა, კონტრაქტში ერთი პუნქტიც ჩაუწერეს: „თუ 2001 წლის 1 მაისს თქვენ კვლავაც „ნიუკასლის" ფეხბურთელი იქნებით და ამასთანავე თქვენსა და კლუბს შორის არანაირი კონფლიქტი არ მოხდება, 2001 წლის მაისში ხელფასთან ერთად პრემიის სახით ერთ მილიონ გირვანქას მიიღებთ".

ხუთი წელი უცბად გაფრინდა, გუშინწინ 1 მაისი იყო და ალან შირერი კვლავაც „ნიუკასლელია", ესე იგი მილიონის მიღების დრო დადგა.

თუმცა შესაძლოა, შირერს სულ მალე მოუხდეს დიდი ფეხბურთიდან წასვლა, თუ მის მარცხენა მუხლს არაფერი ეშველა. ევრო 2000-ის დროინდელი ტრავმა ფეხბურთელს დღემდე აწუხებს და ორშაბათს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიფრინავს, სადაც კოლორადოს კლინიკაში განთქმული ქირურგი რიჩარდ სტიდმენი ოპერაციას გაუკეთებს. ამ ექიმს თავის დროზე რონალდოს და ალესანდრო დელ პიეროსთვისაც უწამლია.

**გიორგი დარჯანია**

# ისევ, ისევ, ისევ... გარი

## ინგლისი

### გადადებული მატჩები

#### ბრედფორდი 0:2 ლივერპული

0:1 ოუენი (47), 0:2 მაკალისტერი (67)

ბრედფორდი: გ. უოლში, მიერსი, მოლენაარი, პალე, ჯეკობსი, უოლი, მაკოლი, რ. ბლეიქი, კარბონე, ჯესი, უორდი

მწვრთნელი: ჯიმ ჯეფერისი

ლივერპული: ვესტერველდი, ბაბელი, ჰენჩოსი, ჰიიპია, კარაგერი, მერფი (ბერგერი 81), ჰამანი, ჯერარდი, მაკალისტერი (შმიცერი 81), ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაფრთხილება: ვესტერველდი, კარაგერი

22 057 მაყურებელი

#### ნიუკასლი 1:1 საუთჰემპტონი

1:0 გალაჰერი (26), 1:1 პახარსი (81)

ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, ობრაიენი, დაბიზასი, ე. ქუინი, ლუა ლუა, სპიდი, აკუნია, ბასედასი (ა. ჰიუზი 86), კორტი, გალაჰერი (ამეობი 86)

მწვრთნელი: ბობი რობსონი

საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, ელ ხალეჯი (ბენალი 53), ოკლი, მარსდენი, ტესემი (პახარსი 71), კაჩლოული, ს. დევისი, ბიტი (რიპლიერი 79), ბრიჯი

მწვრთნელი: სტიუარტ გრეი

გაფრთხილება: ლუა ლუა, სპიდი, დევისი

50 439 მაყურებელი

**გარი მაკალისტერმა** ერთი გოლი მაიკლ ოუენს გაატანინა, მეორე თავად შეაგდო და „ლივერპულმა" გავარდნილ „ბრედფორდს" 2:0 მოუგო გამოტოვებულ თამაშში.

36 წლის სქოთმა ზედიზედ მეხუთე თამაშში შეაგდო გოლი და ზედიზედ მეხუთე თამაშის მოგებაში დაეხმარა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლ მერსისაიდელებს. სწორედ მაკალისტერის პასით დააწინაურა „ლივერპული" მაიკლ ოუენმა 47-ე წუთზე, ამ გოლიდან 20 წუთის შემდეგ გარიმ საჯარიმო დარტყმა შეასრულა და „ლივერპულიც" მესამე ადგილზე აცოცდა 62 ქულით.

„ლივერპული" ბურთების სხვაობით უსწრებს „ლიდსს" და „იფსვიჩს". ამ უკანასკნელს ორი მატჩი დარჩა სათამაშო. იმავ საღამოს „საუთჰემპტონი" „ნიუკასლს" დაუზავდა — 1:1. გლენ ჰოდლის „საუთჰემპტონიდან" წასვლის შემდეგ, ანუ ბოლო ექვს ტურში ამ გუნდმა პირველად გაიტანა გოლი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 35 | 24 | 8 | 3 | 77:25 | 80 |
| არსენალი | 35 | 19 | 9 | 7 | 59:34 | 66 |
| ლივერპული | 35 | 18 | 8 | 9 | 62:37 | 62 |
| ლიდსი | 35 | 18 | 8 | 9 | 54:39 | 62 |
| იფსვიჩი | 36 | 19 | 5 | 12 | 54:40 | 62 |
| ჩელსი | 35 | 15 | 9 | 11 | 62:41 | 54 |
| სანდერლენდი | 36 | 14 | 11 | 11 | 41:37 | 53 |
| ჩარლტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 48:50 | 52 |
| ასტონ ვილა | 36 | 12 | 15 | 9 | 43:38 | 51 |
| ნიუკასლი | 35 | 13 | 8 | 14 | 41:47 | 47 |
| ტოტენჰემი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:49 | 46 |
| საუთჰემპტონი | 35 | 12 | 10 | 13 | 35:42 | 46 |
| ლესტერი | 36 | 13 | 6 | 17 | 34:46 | 45 |
| ევერტონი | 36 | 11 | 8 | 17 | 42:55 | 41 |
| ვესტ ჰემი | 36 | 9 | 12 | 15 | 41:48 | 39 |
| მიდლსბრო | 36 | 8 | 14 | 14 | 41:42 | 38 |
| დერბი ქაუნთი | 36 | 9 | 11 | 16 | 35:58 | 38 |
| სიტი | 36 | 8 | 10 | 18 | 39:61 | 34 |
| ქოვენთრი | 36 | 8 | 9 | 19 | 34:60 | 33 |
| ბრედფორდი | 35 | 5 | 9 | 21 | 28:63 | 24 |



ბრედფორდი — ლივერპული. უმაკალისტეროდ ოუენის ეს გოლიც არ იქო

## პირველი დივიზიონი

### გადადებული მატჩები

#### ვულვერჰემპტონი 0:2 ბოლტონი

0:1 ჰოლდსუორთი (20), 0:2 რიკეტსი (70)

ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი (ემბლენი 74), ლესკოტი, სინტონი (რუსელი 63), ენდრიუსი, დინინგი, ბრენჩი, ძიძავაძე, პრუდლოკი

მწვრთნელი: დევიდ ჯოუნსი

16 242 მაყურებელი

#### უიმბლდონი 1:1 ჰადერსფილდი

1:0 ეინსვორთი (61), 1:1 გალენი (74)

#### ჯილინგემი 0:3 უოტფორდი

0:1 ჰელგუსონი (61), 0:2 სმიტი (54), 0:3 ვერნაცა (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 45 | 30 | 11 | 4 | 90:31 | 101 |
| ბლექბერნი | 44 | 25 | 12 | 7 | 74:38 | 87 |
| ბოლტონი | 45 | 24 | 14 | 7 | 75:44 | 86 |
| პრესტონი | 44 | 22 | 9 | 13 | 62:50 | 75 |
| ბირმინგემი | 45 | 22 | 9 | 14 | 57:47 | 75 |
| ვესტ ბრომვიჩი | 45 | 21 | 11 | 13 | 59:50 | 74 |
| უოტფორდი | 45 | 20 | 9 | 16 | 76:65 | 69 |
| ბარნლი | 45 | 20 | 9 | 16 | 48:54 | 69 |
| უიმბლდონი | 45 | 17 | 17 | 11 | 71:50 | 68 |
| ნოტინგემი | 44 | 20 | 7 | 17 | 53:50 | 67 |
| შეფილდ იუნ. | 45 | 19 | 10 | 16 | 51:48 | 67 |
| ვულვზი | 45 | 14 | 12 | 19 | 44:47 | 54 |
| ჯილინგემი | 45 | 13 | 15 | 17 | 60:65 | 54 |
| ბარნსლი | 45 | 15 | 9 | 21 | 49:59 | 54 |
| ქრიუ | 45 | 15 | 9 | 21 | 47:62 | 54 |
| ნორვიჩი | 45 | 14 | 11 | 20 | 46:58 | 53 |
| სტოკპორტი | 45 | 11 | 18 | 16 | 58:64 | 51 |
| უენსდი | 44 | 14 | 7 | 23 | 51:71 | 49 |
| გრიმსბი | 45 | 13 | 10 | 22 | 42:62 | 49 |
| ჰადერსფილდი | 45 | 11 | 15 | 19 | 47:55 | 48 |
| პორტსმუთი | 44 | 9 | 19 | 16 | 42:55 | 46 |
| კრისტალ პალასი | 44 | 10 | 13 | 21 | 52:68 | 43 |
| ქუინზ პარკი | 45 | 7 | 18 | 20 | 44:74 | 39 |
| ტრანმერი | 45 | 9 | 10 | 26 | 44:75 | 37 |

## უელსი

### თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

#### ბერი თაუნი 1:3 რექსჰემი


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80






„ბარკლიქარდმა" თავი გამოაჩინა

# ყვითელი ბარათი, წითელი ბარათი, ბარკლის ბარათი

**იბრძოდნენ** ოთხნი — „პეპსი", მელუდე „ბადვაიზერი", მობილური ტელეფონების „ვოდაფონი" და საკრედიტო ბარათების „ბარკლიქარდი". ამ უკანასკნელმა იმარჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალი სეზონიდან და სამი წლის განმავლობაში ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო ლიგას „ბარკლიქარდ პრემიერლიგა" ერქმევა. ამგვარად დასრულდა ლუდის მწარმოებელი „ქარლინგის" შვიდწლიანი სპონსორობა და ამის შედეგად პრემიერლიგა 48 მილიონი გირვანქით (69 მილიონი დოლარი) გამდიდრდა.

საბანკო ჯგუფის „BARCLAYS PLC"-ის კუთვნილი „ბარკლიქარდი" გარიგებით კმაყოფილია და მიიჩნევს, რომ ყველაზე სანახაობრივ საფეხბურთო ლიგაში ინვესტიცია კომპანიისთვის დიდი რეკლამაა და სამშობლოში და უცხოეთში ბიზნესს გააფართოებს. „ეს ერთ-ერთი სტრატეგიული გეგმათაგამი შევასრულეთ" — განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა ბობ პოტსმა, ვინც „მანჩესტერ სიტის" თავგადაკლული ქომაგი ყოფილა.

პოტსისთვის სამწუხაროდ, მისი საყვარელი კლუბი ამ გარიგებით, ალბათ, ვერ იხეირებს, ვინაიდან „სიტის" პრემიერლიგის დატოვება ემუქრება. სამაგიეროდ, პრეზიდენტი ვარაუდობს, რომ პრემიერლიგასთან და ბრიტანეთის ტურისტთა ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება კუნძულზე ტურისტების მოზიდვასაც ხელს შეუწყობს: „პრემიერლიგის თამაშებს ტელევიზიით მთელ მსოფლიოში ასეულ მილიონობით ადამიანი უყურებს. ჩვენ მათ ამ სანახაობის ცოცხლად ნახვა უნდა შევთავაზოთ".

მოკლედ, პრემიერლიგა და მისი გუნდები დღითი-დღე მდიდრდებიან და უფრო დიდ ბიზნესშიც ერევიან. შევახსენებთ, რომ ამ ლიგის თამაშების მომავალი 3 წლით ტელეტრანსლაციის უფლება მის შემსყიდველ „სქაისა" და „აი-ტი-ვის" მილიარდ 470 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

**გიგა კობახიძე**

# ვნახოთ, ვნახოთ...

**136 ათასი გირვანქა,** რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" ინგლისის პირველ ჩემპიონს, ამჟამად კი პრემიერლიგაში დაბრუნების მოსურნე „პრესტონ ნორს ენდს" გადაუხადა, თანამედროვე ფეხბურთში მხესუმხირის ფულია. ამის მიუხედავად, ფერგიუსონის გუნდმა შეძლო და ამ ფასად დენიელ როუი შეიძინა. კონტრაქტის თანახმად, როცა თავდამსხმელი „იუნაიტედის" ძირითად გუნდში ათ თამაშს ჩაატარებს, მანჩესტერელები „პრესტონს" კიდევ 100 ათასს გადაუხდიან.

დენიელი უკვე ექვსი წელია, პრესტონში თამაშობს და თავის ასაკში ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს ფორვარდად ითვლება. ამიტომაც დასწყდათ გული „ნორს ენდში", თუმცა: „დენიელს მსოფლიოს უდიდეს კლუბში გადასვლა სურდა და ცხადია, ჩვენ ხელს ვერ შევუშლიდით" — განაცხადა კლუბის პრეს-მდივანმა.

ერთი ეგაა, ახალგამომცხვარ იუნაიტედელს კლუბისა და ბინის გამოცვლის გარდა.. სკოლის გამოცვლაც მოუწევს — დენიელ როუი ჯერ მხოლოდ 12 წლისაა.

# გლატერმა გარდამავალი „დროშა" მოიგონა

## ჰასანი პირველი სტახანოველია

**რას იფიქრებთ,** სანაკრებო მატჩის დროს ერთი გუნდის ორ ფეხბურთელს რომ ეკეთოს სამკლავური? ან მაშინ, ერთი ფეხბურთელი ორი სამკლავურით რომ დაინახოთ?

თუმცა ამდენი კითხვებიც არ გვინდა და სათქმელი პირდაპირ ვთქვათ: ფიფას პრეზიდენტის, ზეპ ბლატერის გადაწყვეტილებით, ამიერიდან სანაკრებო მატჩების რაოდენობით რეკორდსმენი ფეხბურთელი თამაშის დროს სპეციალურ სამკლავურს მოირგებს, რომელიც ხალხს მის ღვაწლს შეახსენებს.

გარდამავალი სამკლავურის პირველი მფლობელი ეგვიპტელი ჰოსამ ჰასანია, რომელმაც წლეულს 9 იანვარს 151-ედ ითამაშა ნაკრებში და ლოთარ მათეუსის რეკორდი დაამხო.

ჰასანს სამკლავური საგანგებო მედალთან და დიპლომთან ერთად კაიროში ჩასულმა ზეპ ბლატერმა და მიშელ პლატინიმ გადასცეს. ეგვიპტის დედაქალაქში მათი სტუმრობის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ აქ პირველი აგური დაადო იმ შენობის საძირკვლად, რომელშიც აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია განთავსდება.

ჰოსამ ჰასანი კი ეგვიპტის ნაკრების კაპიტანიცაა, ამიტომ გუნდს სათამაშოდ ორი სამკლავურით გაიყვანს.



ჰოსამ ჰასანი

# ლუკას დღე უოტფორდში

„უოტფორდის“ გუშინდელ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „კლუბი იუწყება, რომ ჯანლუკა ვიალი კლუბის ახალ მწვრთნელად დაინიშნა. გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც ყოფილმა მწვრთნელმა გრემ ტეილორმა კლუბიდან წასვლის სურვილი გამოთქვა“.

ოფიციალური განცხადება ყველაფერს ვერ იტევს. გრემ ტეილორი, ერთ დროს ინგლისის ნაკრების თავკაცი, საერთო ჯამში 29 წელი მუშაობდა „უოტფორდში“, რომელსაც ადრე კარგი მიღწევები ჰქონდა და გასული სეზონის მერე პირველ დივიზიონში ამოყო თავი. გუნდი დაქვეითებისგან ვერც ტეილორის გამოცდილებამ იხსნა და ვერც მეპატრონის, ელტონ ჯონის სახელმა. „უოტფორდი“ ამ სეზონშიც ისე თამაშობს, რომ პრემიერლიგაში დაბრუნება არ უწერია და გრემ ტეილორის ოცდაცხრაწლიანი უოტფორდული კარიერის დასრულების მიზეზიც ეს გახდა. ჩვენთვის უცნობია, ყოფილმა მწვრთნელმა გადაწყვეტილება თავად მიიღო, თუ კლუბის ხელმძღვანელობა „დაეხმარა“. მოკლედ, ინგლისის ოდინელი ვიცე-ჩემპიონისა და თასის ფინალისტის ისტორიაში ჯანლუკა ვიალის ეპოქა დაიწყო.

ამის თაობაზე კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა ტიმ შოუმ თქვა: „უოტფორდი“ მიესალმება ლუკას. ვფიქრობ, მისი ამბიცია სასიკეთოდ წაადგება კლუბს და დღევანდელი დღე მნიშვნელოვანი თარიღი იქნება „უოტფორდის“ ისტორიაში“. შევნიშნოთ, რომ „უოტფორდის“ ისტორია 110 წელს ითვლის.

„უოტფორდულ ვარიანტზე გულდასმით ვიფიქრე, თუმცა თანხმობის მისაცემად ბევრი დრო არ დამჭირვებია — ამბობს ვიალი — ჩემი მიზანი პრემიერლიგული გუნდის მწვრთნელობაა და აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ ეს მიზანი ავისრულო. გარწმუნებთ, სულ მალე „უოტფორდში“ უდიდესი ცვლილებები მოხდება, მაგრამ გასაკეთებელი საქმეები საკმაოდ მძიმეა“.

თავხოტორა იტალიელი ეგებ უკვე ახლა ფიქრობს პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ „ჩელსის“ წინააღმდეგ თამაშზე, საიდანაც ის ინტრიგების ქსელში გახვეული გაუშვეს. თუმცა ერთხელ რუუდ გულიტმა თქვა, ვიალიმ სამაგიერო ზღო, რაც თავის დროზე მე გამიკეთა, თავადაც იგივე შეემთხვაო. ცნობილია, რომ სწორედ ვიალი გახლდათ იმ დაპირისპირების მოთავე, რომელმაც გულიტი შეიწირა.

იტალიელის „უოტფორდში“ დანიშვნას ჭორები არ უძღვოდა. ყველაფერი უცბად, რამდენიმე დღეში გაირკვა, იქამდე კი გაუთავებლად ლაპარაკობდნენ „იუვენტუსსა“ და „სამპდორიაზე“. ვიალის „ჩელსიდან“ წასვლის დღესვე ითქვა, რომ მის გადაბირებას ყოფილი კლუბები შეეცდებოდნენ, თუმცა ერთი მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდებოდა. საქმე ისაა, რომ იტალიაში მწვრთნელად მუშაობისთვის ლიცენზიაა საჭირო, რასაც ინგლისში არ ითხოვენ. ჯანლუკა ვიალის კი ლიცენზია არ ჰქონდა, მან მხოლოდ ახლახან გაიარა უეფას სამწვრთნელო კურსები.

რაც შეეხება ვიალის კონტრაქტს, ის სამწლიანია, თუმცა შეთანხმების ფინანსური მხარე უცნობია. როგორც ამბობენ, ვიალი თანაშემწედ რეი უილკინსს წაიყვანს, ვისთან ერთადაც „ჩელსიში“ მუშაობდა.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ „უოტფორდი“ პირველ დივიზიონში ამჟამად მეშვიდე ადგილზეა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

**ჯანლუკა ვიალი**

*დაიბადა 1964 წლის 9 ივლისს კრემონაში, იტალია.*
*1980: თამაში დაიწყო ადგილობრივ „კრემონეზეში“.*
*1984: გადავიდა „სამპდორიაში“.*
*1985: მიიწვიეს იტალიის ნაკრებში. დებიუტი ჰქონდა პოლონეთთან.*
*1990: თასების თასის ფინალში „სამპდორიამ“ მისი ორი გოლით დამატებით დროში სძლია „ანდერლეხტს“. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში დამარცხდა.*
*1991: „სამპდორიამ“ მოიგო სკუდეტო. ვიალიმ გაიტანა ცხრამეტი გოლი.*
*1992: ჩემპიონთა თასის ფინალში „უემბლიზე“ დამარცხდა „ბარსელონასთან“. ზაფხულში სარეკორდო თანხად, ოც მილიონ დოლარად გადავიდა „იუვენტუსში“.*
*1993: მოიგო უეფას თასი, ფინალში გაიმარჯვა დორტმუნდის „ბორუსიასთან“.*
*1995: მოიგო იტალიის ჩემპიონატი და თასი.*
*1996: ჩემპიონთა ლიგის ფინალში მისი კაპიტნობით „იუვენტუსმა“ მოუგო „აიაქსს“, რის მერეც გადავიდა ლონდონის „ჩელსიში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით. იქამდე უარყო „რეინჯერსის“ შეთავაზებული უკეთესი პირობები.*
*1997: აპრილში დაიწყო კონფლიქტი მასსა და „ჩელსის“ მწვრთნელ რუუდ გულიტს შორის, რადგან ველარ ხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში. მაისში ასოციაციის თასის ფინალში „ჩელსიმ“ დაამარცხა „მიდლსბრო“. ითამაშა მხოლოდ ერთი წუთი.*
*1998: 12 თებერვალს დაინიშნა „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელად. მარტში ინგლისის ლიგის თასის ფინალში მოუგო „მიდლსბროს“. მაისში „ჩელსიმ“ თასების მფლობელთა თასი მოიგო. გამარჯვების გოლი ჯანფრანკო ძოლამ შეცვლაზე შესვლიდან ოცდაორ წამში გაიტანა.*
*1999: თასების თასის ნახევარფინალში დამარცხდა „მალიორკასთან“. პრემიერლიგა დაასრულა მესამე ადგილზე და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. დეკემბერში „საუთჰემპტონის“ წინააღმდეგ „ჩელსიმ“ მთლიანად უცხოელი ფეხბურთელებით ითამაშა, რაც პირველი შემთხვევა იყო ფეხბურთის ისტორიაში.*
*2000: ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში დამარცხდა „ბარსელონასთან“. ასოციაციის თასის ფინალში მოუგო „ასტონ ვილას“. აგვისტოში დაიწყო კონფლიქტი მასსა და ფეხბურთელებს შორის, რასაც 12 სექტემბერს მისი მოხსნა მოჰყვა.*
*2001: 2 მაისს „უოტფორდის“ მწვრთნელად დაინიშნა.*


REUTERS

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჯანლუკა ვიალის და აღმასრულებელ თავჯდომარე ტიმ შოუს „უოტფორდის“ უცნობილესი პატრონი სერ ელტონ ჯონი დისცქეროდა

## ფეხბურთის ...



ესპანელმა ნახევარმცველმა ლუის ელგერამ სეზონის ბოლოს შესაძლოა „უდინეზე“ დატოვოს და სამშობლოში დაბრუნდეს, სადაც მას მადრიდის „ატლეტიკო“ ეპატიჟება. „არ გამოვრიცხავ, მართლაც ასე მოხდეს. „ატლეტიკო“ დიდი კლუბია, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ესპანეთის მეორე დივიზიონში თამაშობს“ — განაცხადა ლუისმა, რომელიც მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველის, ივან ელგერას ძმაა. იგი „უდინეზეში“ შარშან ჩაირიცხა, მას შემდეგ, რაც „სარაგოსას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. აღსანიშნავია, რომ ელგერას უდინურ კლუბთან კიდევ ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს.

**იტალიის ჩემპიონი „ლაციო“ „ინტერის“ მეკარე სებასტიან ფრეისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს და შესაძლოა სეზონის ბოლოს „სტადიო ოლიმპიკოზე“ გადაიყვანოს. ეს ინფორმაცია თავად გოლკიპერმაც დაადასტურა. ახალგაზრდა ფრეი „ინტერში“ სეზონის დაწყებამდე დაბრუნდა და ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვირდა ადგილი, მანამდე კი მილანურ კლუბს იგი „ვერონაში“ ჰყავდა განათხოვრებული. კარიერა კი ფრანგმა „კანში“ დაიწყო. „ახლა „ინტერში“ ვთამაშობ და სადმე გადასვლას არ ვფიქრობ, თუმცა „ლაციოსგან“ წინადადება მივიღე და არც იმას გამოვრიცხავ, მათთან გადავიდე. რომაული კლუბიც ხომ ძალიან ძლიერია“ — განაცხადა ფრეიმ.**

ესპანურმა „ვალენსიამ“ „გალათასარაის“ თავდამსხმელ მარიო ჟარდელსა და ამ სეზონში „ალავესის“ შემადგენლობაში გამორჩეულ ფორვარდ ხავი მორენოს დაადგა თვალი. ეს უკანასკნელი ამჟამად პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია და ესპანეთის ნაკრების მწვრთნელის ყურადღებაც მიიპყრო. ბრაზილიელი ჟარდელი კი „გალათასარაიში“ სეზონის დაწყებამდე „პორტუდან“ გადავიდა და წლეულს ისიც ძლიერად თამაშობს. „ვალენსიას“ გარდა მას მარსელის „ოლიმპიკი“, ლისაბონის „ბენფიკა“ და ორი მილანური გრანდი — „მილანი“ და „ინტერი“ იწვევს.

**იტალიელი თავდამსხმელი და „ფიორენტინას“ საუკეთესო ბომბარდირი ენრიკო კიეზა ტრავმის გამო დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. 30 წლის ფორვარდმა სერია A-ს წინა ტურში „უდინეზესთან“ შეხვედრაში მუხლი დაიზიანა. „დიდი იმედი გვაქვს, რომ კიეზა სეზონის უკანასკნელ მატჩებში მაინც დაგვიბრუნდება“ — განაცხადა ფლორენციული კლუბის წარმომადგენელმა. ფეხბურთელმა ამ სეზონში „ფიორენტინას“ შემადგენლობაში 19 გოლი გაიტანა, რის წყალობითაც იტალიის ნაკრებში კვლავ დააბრუნეს.**

ფრანგული „სედანის“ ნახევარმცველმა ოლივიე კუინმა მომავალი სეზონიდან კარიერა შესაძლოა ქვეყნის ჩემპიონატის ამჟამინდელ ლიდერ და თითქმის ჩემპიონ „ნანტში“ გააგრძელოს. თუმცა მასზე „ლივერპულს“, „ლანსს“, „ბორდოსა“ და „მონაკოსაც“ უჭირავთ თვალი. „საქმე ისეა, რომ უახლოეს მომავალში, ალბათ, „ნანტთან“ გავაფორმებ კონტრაქტს, ძლიერი კლუბია და მჯერა რომ მის სტილს იოლად მოვერგები“ — განაცხადა ნახევარმცველმა. „ნანტს“ ჩემპიონთა ლიგაში თამაში ნამდვილად განაღდებული აქვს. კუინის თქმით, ამ ტურნირში მონაწილეობა მისთვის საოცნებოცაა.

**იტალიურ „ინტერს“ რამდენიმე კვირით ორი ფეხბურთელი დააკლდება. მიკელე სერენამ და ვლადიმირ იუგოვიჩმა ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღეს. იუგოსლავიელმა ნახევარმცველმა კოჭი იტკინა და ექიმების ვარაუდით, სამ კვირაზე ადრე ვერ დაუბრუნდება მინდორს, სერენამ კი მუხლის მყესები დაიზიანა. ორივე მოთამაშეს ამ დღეებში ხელახალი სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდება და უფრო ზუსტი პასუხიც, ალბათ, მაშინ გახდება ცნობილი.**

ინგლისის პირველი დივიზიონის ლიდერმა „ფულემმა“, რომელსაც პრემიერლიგის საგზური უკვე განაღდებული აქვს, „ასტონ ვილადან“ ფრანგი ნახევარმცველის დავიდ ჟინოლას გადაბირება მოინდომა. „ფულემის“ მწვრთნელ ჟან ტიგანას მომავალ სეზონში გუნდში გამოცდილი მოთამაშეების მიწვევა სურს და თანამემამულესაც სწორედ ამიტომ დაუკავშირდა. ჟინოლა ახლა 34 წლისაა, იგი „ასტონ ვილაში“ „ტოტენჰემიდან“ გადავიდა. ბირმინგემულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ამ სეზონში ფრანგმა „ასტონ ვილას“ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 14 შეხვედრა ჩაატარა.

**ფრანგმა თავდამსხმელმა ლორან რობერმა განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს, ალბათ, „პარი სენ ჟერმენს“ დატოვებს. მისი შეძენის სურვილს ბევრი კლუბი გამოთქვამს, ყველაზე მეტად „მილანი“, „ბარსელონა“, „არსენალი“ და „ვესტ ჰემი“ აქტიურობენ. თუ პარიზულმა კლუბმა რობერი გაუშვა, მის ნაცვლად შესაძლოა „მალაგას“ პორტუგალიელი ნახევარმცველი აგოსტინიო იყიდოს. ასევე გავრცელდა ცნობა, რომ დედაქალაქური კლუბი „სენტ ეტიენის“ ფეხბურთელ ლიონელ პოტილიონის შეიმატებს. ამ უკანასკნელს სეზონის ბოლოს გუნდის გამოცვლა სურს და შესაძლოა, მალე „პარი სენ ჟერმენთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი.**

ინგლისური „ვესტ ჰემის“ მცველი იან პირსი ტრავმის გამო გუნდს ამ სეზონში ველარ დაეხმარება. 26 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგის წინა ტურში „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში დაშავდა. „ტრავმა საგანგაშო არაა, თუმცა ფეხბურთელს ორი-სამი კვირით დასვენება მოუწევს. სეზონი სადაცაა დასრულდება, ამიტომ იგი, ალბათ, გამოჯანმრთელებას ველარ მოასწრებს“ — განაცხადა ლონდონური კლუბის ექიმმა.

**საფრანგეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა ჩემპიონატის წლის საუკეთესო მოთამაშედ „ნანტის“ ნახევარმცველი ერიკ კარიერი დაასახელა. ეს ფეხბურთელი წლეულს ძლიერად თამაშობს, მისი გუნდი კი, ალბათ, ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს. საუკეთესო მწვრთნელად „ნანტის“ თავკაცი რეინალდ დენიე მიიჩნიეს, ხოლო საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ — „ლიონის“ თავდამსხმელი სიდნეი გოვუ. ამ გამოკითხვას ფეხბურთელები და მწვრთნელები ატარებენ.**


# იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)



„ბოკა ხუნიორსმა“ საკონტინენთაშორისო თასით გაიხარა, ფულით ვერა

# არგენტინაში ფეხბურთი გაიფიცა

**არგენტინის** პროფესიონალ ფეხბურთელთა კავშირი ორშაბათიდან გაფიცულია. მოთამაშეები კლუბებისგან კუთვნილ ხელფასებს და პრემიებს ითხოვენ. ქვეყნის სამივე დივიზიონის კლუბების საერთო დავალიანება უკვე 100 მილიონ დოლარს აჭარბებს.

„თუ სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება, კიდევ უფრო რადიკალურ ზომებს მივიღებთ“ — განაცხადა არგენტინელ მოთამაშეთა გაერთიანების ანუ იგივე ფეხბურთელთა პროფკავშირის პრეზიდენტმა სერჯიო მარკიმ, რომელმაც დაახლოებით სამსაათიანი თათბირი ჩაატარა კლუბების კაპიტნებთან.

ქვეყნის წამყვან კლუბ „ბოკა ხუნიორსს“ უჭირს ფინანსურად და ახლა სხვა გუნდების მდგომარეობა წარმოიდგინეთ. ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასის მომგებ გუნდს თავისი ფეხბურთელების სოლიდური ვალი მართებს. როგორც ამბობენ, ბუენოსაირესულ კლუბში ჯერ ის პრემიებიც არ დაურიგებიათ, ბოკელებს მადრიდის „რეალთან“ საკონტინენტთაშორისო თასის მოგების შემდეგ რომ ეკუთვნოდათ.

არეულია „ბოკა ხუნიორსში“ საქმე. წამყვან მოთამაშეებს უკვე იქ გაჩერება აღარ სურთ. წინა კვირას კლუბის ნახევარმცველი მაურისიო სერნა გამოვიდა და ინატრა, ეგებ ხუან რამონ რიკელმე მალე გადავიდეს ევროპაში, რომ ტრანსფერიდან შემოსული თანხით ხელფასები დაგვირიგონო.

ამომავალ ვარსკვლავ ხუან რიკელმეს გაყიდვას კი საბოლოოდ მაინც ვერ მოაბეს თავი. არაერთხელ ითქვა და დაიწერა, რომ ნახევარმცველს, რომელსაც მარადონას მომავალს უწინასწარმეტყველებენ, „ბარსელონა“ 22 მილიონ გირვანქად ყიდულობს. მაგრამ „ბოკა ხუნიორსის“ საბანკო ანგარიშზე ბარსელონიდან ეს ფული ჯერ არ ჩარიცხულა.

ისევ საერთო არგენტინულ პრობლემას დავუბრუნდეთ. პროფკავშირების ლიდერი მარკი აცხადებს: „მთავარი პრობლემა აქ ერთია, ფინანსებისა და პოლიტიკის არაეფექტური მართვა, საქმეს აშკარად ცუდად უძღვებიან და ვიდრე ასე იქნება, უკეთესობას არ უნდა ველოდოთ“.

საქმეში არგენტინის შრომის მინისტრი პატრისია ბულრიკი ჩაერია. პირველი, რაც მოიმოქმედა, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას შეხვდა, თუმცაღა იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ ერთი შეხვედრით არაფერი მოგვარდებოდა. ასეც მოხდა, კონკრეტულად არაფერი გადაუწყვეტიათ.

„ჩვენ შევთავაზეთ, რომ ფინანსების მაქსიმალური მობილიზაციით თავიდან საერთო დავალიანების 25 პროცენტი დაიფარება, თუმც პროფკავშირებმა ეს არ მოიწონეს. სხვა გზების ძიება და უკეთესის შეთავაზება მოგვიწევს“ — ბრძანა ქალბატონმა მინისტრმა.

სანამ უკეთესს მოიფიქრებენ, არგენტინაში მოთამაშე ფეხბურთელების დიდი ნაწილი კვლავ უხელფასოდ რჩება. რას იზამ, ლოდინი მოუწევთ.

**ნიკა შუბლაძე**

# ძირს ანტისემიტიზმი, რასიზმი და ლაციო!

**„ლაციომ“** მომდევნო საშინაო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე უნდა ითამაშოს. მიზეზი: გასულ კვირას რომაული დერბის დროს („ლაციო“ — „რომა“ 2:2) მისმა ქომაგებმა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს, ბრაზილიელ კაფუსა და ალდაირს, აგრეთვე ფრანგ ჯონათან ზებინას, რომლის გვარსაც იტალიელები ძებინად გამოთქვამენ, რასისტული შინაარსის საძაგლობები აკადრეს. გარდა ამისა, ტრიბუნაზე გაშალეს პლაკატი, სადაც ეწერა: „შავებისა და ებრაელების კლუბი“.

გარდა სტადიონის დისკვალიფიკაციისა, ქვეყნის საფეხბურთო ლიგამ, „ლაციოს“ 60 მილიონი ლირას გადახდაც დააკისრა.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და რასისტული ლანძღვა-გინება „ლაციოს“ ქომაგებს ჩვეულებად აქვთ.

ახლა, „რომას“ 7, „იუვენტუსს“ კი 1 ქულით ჩამორჩენილი „ლაციო“ „ბარის“ უნდა შეხვდეს, მაგრამ სად, ჯერ ცნობილი არ არის.

**პაატა ძიდია**

# ჩემი გულის ფიცარი, შენი ფულის ქვითარი

**ფეხბურთი** და რეკლამა დღეს განუყოფელი ცნებებია. მსხვილი კომპანიები სულ უფრო მეტ ფულს ხარჯავენ სპორტის ამ სახეობაში. ტექნიკური სპონსორის გარეშე მეტ-ნაკლებად სოლიდური კლუბი ჩვენს დღევანდელობაში წარმოუდგენელიც კია.

ცხადია, რეკლამისმიმცემები ცდილობენ, ამ სფეროს ყველა სიკეთე სათავისოდ გამოიყენონ: სარეკლამო ფირნიშები, საკლუბო ჟურნალები, მატჩების პროგრამები, საკლუბო ინტერნეტ-გვერდები. ტელევიზიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

სპონსორთა უმეტესობას სურს თავისი ფირმის დასახელება გუნდის მაისურებზე იხილოს. ეს მრავალმილიონიან ტელეგულშემატკივრისთვის საკუთარი ლოგოს წარდგენის ერთ-ერთი სარფიანი საშუალებაა. თურმე უახლოეს ხანში ფიფა ეროვნული გუნდების ფორმებზე სარეკლამო წარწერების ნების დართვას აპირებს. აბა, მერე ნახეთ რა მოხდება. წარმოგიდგენიათ, რამდენ ფულს გადაიხდიან იტალიის ან ვთქვათ, ბრაზილიის ნაკრების მაისურებზე საკუთარი კომპანიის სახელწოდება რომ ამოქარგონ?

როგორი უჩვეულო იყო, როცა 1987 წლის შემოდგომაზე ევროთასებზე გასულმა საბჭოთა გუნდებმა, მათ შორის თბილისის „დინამომაც“, მაისურებზე იტალიური ფირმა Ocim-ის ლოგო წაიწერეს. ასეთი რამ ხომ რამდენიმე წლით ადრე წარმოუდგენელი გახლდათ. ეგ კი არა, 70-იანის ბოლოს ნოდარ ახალკაცს უსაყვედურეს: რას გავს, საბჭოთა გუნდს adidas-ის ფორმით რატომ ათამაშობო...

ცხადია, Ocim-ის ფული კლუბებს ნაკლებად მოხმარდებოდათ, მაგრამ სიახლე მაინც საინტერესო იყო.

კიდევ ერთ წვრილმანს გაგახსენებთ. იმავე 80-იანის ბოლოს ჩვენს „დინამოს“ მაისურებზე „თბილისი“ ეწერა. დაიწყო ჩემპიონატი და მალევე „სოვეტსკი სპორტში“ მავანი მშრომელის წერილი გაჩნდა: ერთი გაგვაგებინეთ, ქართველებს ფორმაზე რა უცხო ასოები წაუწერიათო. კიდევ კარგი, რედაქციამ მშრომელი დააწყნარა: ნუ შეგეშინდებათ, უბრალოდ, ქართულად „თბილისი“ აწერიათო...

ევროპაში კი მაისურებზე პირველად 70-იანის დასაწყისში წაიწერეს. ეს წამოწყება მაშინ ბევრს არ მოსწონდა. მაგალითად, ინგლისში 1976 წელს ნაკლებადცნობილმა „კეტერინგ თაუნმა“ ერთ-ერთ ადგილობრივ ფირმასთან ათასგირვანქიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამან დიდი სკანდალი გამოიწვია. ქვეყნის საფეხბურთო ასოციაციამ მაისურების სარეკლამო მიზნისთვის გამოყენება დაგმო. ბოლოს, კარგა ხნის მოლაპარაკებების შემდეგ შეთანხმდნენ: „კეტერინგის“ მაისურებზე მხოლოდ ფირმის სახელწოდების პირველ ასოს ამოქარგავდნენ...







რეკლამა დიდსა და პატარას არ არჩევს

სხვათა შორის, 1983 წლამდე ინგლისის ტელევიზია „ლოგოტიპიანი გუნდების“ მატჩებს პრინციპულად არ გადასცემდა. მაგრამ გავიდა წლები და ახალმა მოთხოვნებმა თავისი გაიტანა. 1981-ში ლონდონის „არსენალმა“ იაპონურ JVC-სთან გააფორმა კონტრაქტი. ეს სამი ლათინური ასო მეთოფეთა მაისურებზე მთელ 18 წელიწადს კოხტაობდა და შარშანწინ ზაფხულშიღა შეიცვალა. ეს იყო ყველაზე გრძელვადიანი ხელშეკრულება ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. ამაზე ოდნავ ნაკლები გახლდათ ასევე იაპონური SHARP-ისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ თანამშრომლობა, რომელიც წელიწადიც არ არის, რაც ამოიწურა.

სულ ახლახან ლონდონის „ჩელსიმ“ საემიროების ავიაკომპანია Emirates-თან დაამთავრა მოლაპარაკება. Autoglass-თან კონტრაქტი ლონდონელებს ამ ზაფხულს უმთავრდებათ. ახალი გარიგების მიხედვით კი „ჩელსი“ ოთხ წელიწადში 24 მილიონ გირვანქას მიიღებს. ჩელსელები ამ თანხის ნაწილით ვალების დაფარვას აპირებენ, რაც დაახლოებით 4 მილიონი გირვანქაა, დანარჩენით კი ახალ მოთამაშეებს შეიძენენ და საკუთარი საფეხბურთო აკადემიის შენებას დაიწყებენ.

დღეისთვის „ჩელსის“ კონტრაქტი პრემიერლიგაში სიდიდით მეორეა. პირველი, ცხადია აქაც „მანჩესტერ იუნაიტედია“, რომელიც Vodafone-ისგან ოთხ წელიწადში 30 მილიონ გირვანქას მიიღებს.

საინტერესოა საფეხბურთო კლუბების ურთიერთობა სპორტული ფორმის მწარმოებელ კომპანიებთანაც. მაგალითად, „მანჩესტერმა“, რომელსაც გაისად ზაფხულში Umbro-სთან 25-მილიონიანი კონტრაქტი უმთავრდება, შარშან ნოემბერში კომპანია Nike-თან დაძმობილების შესახებ ამცნო მსოფლიოს. ეს იქნება აქამდე არნახული გარიგება. „მანჩესტერი“ Nike-ისგან უახლოეს 13 წელიწადში 302 მილიონ დოლარს მიიღებს...

ხელშეკრულებაში ასეთი პუნქტიც არის: თუ გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილში დაეშვა ან ევროთასებზე ვერ მოხვდა, თავდაპირველად დასახელებული თანხები, შესაძლოა შეიკვეცოს. თუმცა, ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, ასეთი პუნქტი ნებისმიერ სასპონსორო საბუთში არსებობს.

მაგალითად, ასე მოიქცა ცნობილი სატელეკომუნიკაციო ფირმა Ericsson, როცა აუტსაიდერებში მოხვედრილ მარსელის „ოლიმპიკს“ ამ გაზაფხულზე 3-მილიონიანი კონტრაქტი შეუწყვიტა.

თავის დროზე იმავე Nike-ს დიდი ფულის დახარჯვა დასჭირდა, რათა „ბარსელონას“ მაისურებზე მისი პაწაწა ლოგოტიპი გამოჩენილიყო. მოგეხსენებათ, კატალონიელები პრინციპულად არ იწერენ მაისურებზე არანაირი ფირმის სახელს და ამით კლუბის დამოუკიდებლობას უსვამენ ხაზს.

ბოლო დროს კი ტექნიკურ სპონსორებს ნელ-ნელა წყალი უდგებათ. „საუთჰემპტონმა“, „ქოვენთრიმ“ და „დორტმუნდმა“ საკუთარი ფორმის თავად წარმოება განიზრახეს. ეს კი დიდი შემოსავალია. მაგალითად, ფირმა Reebok-მა, რომელსაც „ლივერპულთან“ 6,5 მილიონ გირვანქიანი კონტრაქტი აქვს, მხოლოდ ერთ წელიწადში კლუბის დაახლოებით 4,5 მილიონი გირვანქის ღირებულების მაისურები გაყიდა...

**სოლომონ გულისაშვილი**

# მწვრთნელის სიკვდილი ტრიბუნაზე ზის

**მიუნხენელთა** მეორე კლუბი, რომელიც ქალაქისავე სახელს ატარებს, ისე ვერ თამაშობს, როგორც ქომაგებს სურთ და ბუნდესლიგაში მისი ახლანდელი მეთერთმეტე ადგილი გვარიან წყრომასაც იწვევს. თუმცა ქომაგთა შორის ისეთებიც არიან, წყრომა რისხვად რომ გადაქცევიათ და მწვრთნელ ვერნერ ლორანტს მოკვლით ემუქრებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ ლორანტმა ახლახან ფრანკფურტის „აინტრახტთან“ წამოიწყო მოლაპარაკება, რამაც მუქარის ავტორებს აფიქრებინა, ეს კაცი „მიუნხენზე“ აღარ ფიქრობსო, რამაც რისხვა გაამძაფრა.

რამდენად სერიოზულია მოკვლის მუქარა, უფრო პოლიციის გასარკვევია, თავად ლორანტი კი არხეინადაა. „აბა, გაბედონ, თვალებში შემომხედონ და ისე გაიმეორონ, რას მიპირებენ. ვერაფერსაც ვერ მიზამენ, რადგან ლაჩრები არიან, ტრიბუნებიდან ყვირილი კი იოლია“ — ზიზღით თქვა ლორანტმა.

ვერნერ ლორანტმა „მიუნხენ-1860“ ცხრა წლის წინ ჩაიბარა, როცა ეს გუნდი ჯერაც სამოყვარულო იყო და იმდენი მოახერხა, ჩემპიონთა ლიგაში ათამაშა.

**გიორგი დარჯანია**




ვერნერ ლორანტი

# სამარანჩს რეკორდამდე ოთხი ნაბიჯი დარჩა

**ლოზანაში,** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინაში, მისი პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის „ოქროს საწმისის“ ორდენით დაჯილდოების ცერემონიალზე, რა თქმა უნდა, იყო ასეთი ვითარებისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სიტყვები, სალამ-ქალამი, მოკითხვა და საჩუქრები. ყოველივე ამან გულთბილ და უშუალო ატმოსფეროში ჩაიარა. ასევე გაგრძელდა ჩვენი ინტერვიუც. სამარანჩმა საინტერვიუოდ თავისი საპრეზიდენტო კაბინეტიდან პატარა, მყუდრო ოთახში გაგვიყვანა, აქ ხელს არავინ შეგვიშლის და წყნარად ვისაუბრებთო. ვიფიქრე, ან იმ კაბინეტში ვის უნდა შეეშალა-მეთქი ხელი, მაგრამ, ეტყობა, 80 წელს გადაცილებული მარკიზი პატარა, მყუდრო ოთახის მუთაქებიან სავარძელში უფრო მშვიდად გრძნობდა თავს. ჩვენც მუთაქებიანი სავარძლები შემოგვთავაზა. მართალი რომ გითხრათ, ცოტა დავიბენი, აღარ ვიცოდი, ის მუთაქა როგორ გამომეყენებინა...

ინტერვიუს დაწყებამდე სამარანჩმა სეოკ-ის განყოფილების გამგე რუსუდან აფციაურს, რომელიც თარჯიმნობასაც გვიწევდა და თან საქართველოს ტელევიზიის I არხის სპორტულ კომენტატორ თამარ ბალავაძეს ინტერვიუს აღებაში მიკროფონითაც ეხმარებოდა, ჰკითხა, კი მაგრამ, ჩვენ მერამდენედ ვხვდებით ერთმანეთს, მეორედ ხომ არაო. მეოთხედო, უპასუხა რუსუდანმა და დასძინა, ეს ჩემთვის დიდი პატივიაო.

მეოთხედო, რომ უთხრა, ამაში სოკ-ის შტაბ-ბინაში საუბრებს გულისხმობდა, თორემ ეს ჩვენი გოგო და სამარანჩი თბილისში ორჯერ და სხვადასხვა ქვეყნებში იმდენჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, რომ ამის სათვალავი თავად რუსუდანსაც არევია.

ასე იყო თუ ისე, როცა თამარ ბალავაძემ ინტერვიუ მოათავა, მე კი სურათების გადაღება, სამარანჩიც მკვირცხლად წამოხტა. ის იყო უნდა გამოგვშვიდობებოდა, რომ ახლა მე ვთხოვე ინტერვიუ. ვიფიქრე, ახლა კი შელონდება-მეთქი კაცი, მაგრამ ბოჩოლასავით მორჩილად „გამომყვა“, ისევ სავარძელში ჩაეშვა, ფეხი ფეხზე შემოიდო, „ოქროს საწმისის“ ორდენი გაისწორა და გისმენთო.

მაგრამ მანამ ჩვენს საუბარზე მოგითხრობდეთ, თავად სამარანჩის დოსიეს შეგახსენებთ:

მარკიზი ხუან ანტონიო სამარანჩ ტორელო დაიბადა 1920 წლის 17 ივლისს ბარსელონაში. დაამთავრა ბარსელონის უმაღლეს სწავლებათა ინსტიტუტი, არის ეკონომიკის პროფესორი, რამდენიმე ბანკის საბჭოს წევრი. სხვადასხვა წლებში იყო ბარსელონის დელეგატი, იმავე ქალაქის დეპუტაციის პრეზიდენტი, ესპანეთის ელჩი საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1964 წელს აირჩიეს ესპანეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად, ორი წლის მერე — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად, 1974-78 წლებში მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო, ხოლო 1980 წლიდან პრეზიდენტია. არის ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, ხმელთაშუაზღვის სპორტული თამაშების საერთაშორისო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ესპანეთის ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი; იყო ესპანეთის მისიის ხელმძღვანელი კორტინა-დამპეცოს, რომის და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.

ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ჰოკეით, ფეხბურთითა და კრივით.

ერთხანს ესპანეთის პოპულარული ჟურნალისტიც გახლდათ.

მშობლიური ესპანურის გარდა საუბრობს ფრანგულად და ინგლისურად, ფლობს ცოტაოდენ რუსულსა და გერმანულს. ჰყავს შვილები — მარია ტერეზა და ხუან ანტონიო.

მეუღლე — მარია ტერეზა სალისა როვი სიდნეის ოლიმპიური თამაშების დღეებში გარდაეცვალა.

ხუან ანტონიო სამარანჩი დაჯილდოებულია ბარსელონისა და კატალონიის ოქროს მედლებით, არის ესპანეთის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს, კარლოს III დიდი ჯვრის კავალერი, ესპანეთის მეფემ კი მარკიზის ტიტული უბოძა.

ამას გარდა, სამარანჩი დაჯილდოებულია მრავალი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ორდენებით. მათ მიემატა უცხოელთათვის განკუთვნილი საქართველოს უმაღლესი ჯილდო, „ოქროს საწმისის“ ორდენი.





კმაყოფილი მასპინძელი, ხუან ანტონიო საარანჩი ქართველ სტუმართა გარემოცვაში

ხუან ანტონიო სამარანჩი ამ უმაღლესი ხარისხის ოქროს ორდენით დაჯილდოვდა „საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ოლიმპიური და სპორტული მოძრაობის მხარდაჭერაში, ოლიმპიური იდეების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისთვის“.

მაშინ, როცა სამარანჩი მუთაქებიან სავარძელში მოკალათდა, „ოქროს საწმისის“ ორდენი გაისწორა და ჩვენი კითხვების მოლოდინში მზერა მოგვაპყრო, აღარ გვიკითხავს, მრავალთა შორის ეს ჯილდო თქვენთვის რას ნიშნავსო, რადგან მანამდე თავადვე გვითხრა, ეს ჯილდო ჩემთვის დიდი პატივიაო.

სამარანჩისთვის „ოქროს საწმისის“ ორდენი ნამდვილად ალალია. მართალია, მას კრიტიკოსები არ აკლია, მაგრამ საქართველოსთვის იგი ნამდვილად ძალზე კარგი იყო და ახლაც სასურველი სოკ-ის პრეზიდენტია, რადგან ჩვენდამი მისი კეთილგანწყობა საქმითაც იგრძნობა. გვითხრა, დიდი ხანია ვიცი, რომ ქართველები ძალზე სულგრძელები ხართ და ამას კიდევ ერთხელ ვადასტურებო.

თავად სამარანჩიც სულგრძელი რომ არის ჩვენს მიმართ, ეს იმითაც დაადასტურა, რომ გვითხრა, სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის მეშვეობით თქვენი თხოვნა დავაკმაყოფილეთ და მომავალშიც მზად ვართ დაგეხმაროთო.

ცხადია, სოკ-ის ამგვარი დახმარებები კეთილგანწყობასთან ერთად მის ფინანსურ სიძლიერეზეც მეტყველებს.

მართლაც, სამარანჩის პრეზიდენტობის წლებში სოკ-ი ძალზე მოძლავრდა ფინანსურად და მთელს მსოფლიოში ძალზე გავლენიანი, ავტორიტეტული ორგანიზაცია გახდა. ეს, ცხადია, სამარანჩის უნარიანი მმართველობის შედეგია. სწორედ ამას „ვახსენებთ“ სამარანჩს და ვეკითხებით, თქვენი 22-წლიანი პრეზიდენტობის ხანიდან რა გრჩებათ ყველაზე სასიამოვნო მოგონებად-მეთქი.

— ჩემთვის ყველაზე სასიამოვნოა ის ერთიანობა, რომელიც ოლიმპიურ მოძრაობაში გაგვაჩნია — გვეუბნება სამარანჩი — ეს არის ერთობა და სიმტკიცე ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან, საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან ერთად. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი პიროვნებები არიან მათი პრეზიდენტები, ასევე ყოფილი და მოქმედი სპორტსმენები, რომლებიც ჩვენი ოჯახის წევრები არიან. მათი ერთობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სწორედ ამ ერთობაშია ჩვენი ძალა და სიძლიერე. ამ ზაფხულს ჩემს მემკვიდრეს გადავცემ ბევრად ძლიერ ოლიმპიურ კომიტეტს, ვიდრე მე ჩავიბარე. ძალზე სასიამოვნო მოგონებად მრჩება ბარსელონის ოლიმპიური თამაშებიც, რომელსაც მე ვთავმჯდომარეობდი. ეს იყო ფანტასტიკური ოლიმპიური თამაშები. ძალზე სასიამოვნო მოგონება მრჩება ჩემთვის ბოლო, სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდანაც, რომელსაც ასევე მე ვთავმჯდომარეობდი. სიდნეის ოლიმპიური თამაშები ძალზე შთამბეჭდავი გამოდგა. ეს იყო საუკეთესო თამაშები მთელი მისი ისტორიის განმავლობაში.

— თქვენი ყველაზე ცუდი მოგონება?

— ვეკითხებით სამარანჩს და მგონია იტყვის, მომავალ სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული სოკელთა მექრთამეობის ამბები, რომელმაც „შესძრა მსოფლიოო“, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, მან მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებისადმი ამერიკელთა და მის მხარდამჭერთა, მერე კი ლოს ანჯელესის თამაშებისადმი საბჭოთა კავშირისა და მისი „თანაგუნდელების“ ბოიკოტები დაასახელა.

— მაგრამ ეს ომი ბოლოს მაინც ჩვენ მოვიგეთ, — გვეუბნება სამარანჩი — დღეს ფაქტობრივად არანაირი ბოიკოტი აღარ არსებობს. პოლიტიკოსებს ძალიან კარგად ესმით, რომ ოლიმპიური თამაშებისადმი ბოიკოტი უაზრობაა და ეს შეიძლება ემსახურებოდეს მხოლოდ ერთ რამეს — საკუთარი ქვეყნის სპორტსმენთა დასჯას.

— თქვენ ყოველი ოლიმპიური თამაშების დასრულების მერე ამბობდით, ეს ყველაზე კარგი ოლიმპიური თამაშები იყო აქამდე ჩატარებულთაგანო. მაინც რომელი იყო ყველაზე კარგი? — ღიმილით და გულუბრყვილო კაცის გამომეტყველებით ვეკითხები სამარანჩს, თუმცა თავადაც კარგად მახსოვს, რომ მას ეს არ უთქვამს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე. მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ მაშინ ქალაქის მერი ოლიმპიური ოქროს ორდენით დააჯილდოვა ამ ასპარეზობის კარგად ჩატარებისთვის, თუმცაღა იქ ნამდვილი დომხალი იყო, განსაკუთრებით პირველ დღეებში. ჰოდა, მგონია, ახლა კი სამარანჩი ნამდვილად კუთხეში მივაყენე-მეთქი.

— ეს მართალი არ არის, — მეუბნება სამარანჩი — ფაქტობრივად მე ვთავმჯდომარეობდი ხუთ ზაფხულისა და ამდენივე ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, მაგრამ ეს სიტყვები, პირველ შემთხვევაში სამჯერ, მეორეში კი ორჯერ გავიმეორე — ეს კი გვითხრა სამარანჩმა, მაგრამ კითხვა მაინც უპასუხოდ დატოვა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით მის დიპლომატიურ ნიჭში, ჩვენი ვარაუდით კი სამარანჩი ყველაზე მეტად მაინც სიდნეის ან ბარსელონის ოლიმპიური თამაშებითაა აღფრთოვანებული, ან ამ ორს შორის არჩევანი უჭირს.

ასეა თუ ისე, სამარანჩის ყურადღების მოსადუნებლად, მორიგი „პროვოკაციული“ კითხვის დასმამდე „ნაკლებად“ მტკივნეული საკითხით ვინტერესდები.

— ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი და მომავალი თქვენი შესაძლო მემკვიდრე, დოქტორი ჟაკ როგი ამბობს, ოლიმპიური თამაშების პროგრამა ცოტა გაბერილი და შესაკვეციაო. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

— დიახ, როგი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატია და მას საკუთარი პროგრამა გააჩნია, მაგრამ 1988 წლიდან ოლიმპიური თამაშების პროგრამა ფაქტობრივად ძალიან სტაბილურია. ბოლო ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე 10-10 ათასი სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამის მცირეოდენი ცვლილებების მიუხედავად, მასში მონაწილეთა რაოდენობა არ გაზრდილა — გვითხრა სამარანჩმა და პასუხისთანავე ხელი ფეხს შეაშველა, ამერიკელივით იქვე პატარა გაზეთების მაგიდაზე შემოდო და მერე მუთაქებიან სავარძელში გადაესვენა...

ეტყობა, გადაიღალა, მაგრამ მორიგი კითხვის მოლოდინში მაინც მორჩილად შემომცქერის და ვგრძნობ, „პროვოკაციული“ კითხვის დროა, იქნებ დაღლილს რაიმე წამოვაცდენინო სოკ-ის მომავალ პრეზიდენტზე-მეთქი, თუმცა, ისიც კარგად ვიცი, რომ მის წევრებს სოკ-ის ეთიკის კომისიის მიერ ეკრძალებათ პრეზიდენტობის კანდიდატებზე ნებისმიერი კომენტარი, მაგრამ, ცდა ბედის მონახევრეაო და...

— სოკ-ის პრეზიდენტობის ხუთი კანდიდატიდან ვის აქვს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი? — მთლად მიამიტური გამომეტყველებით ვეკითხები, მაგრამ სამარანჩის პასუხით ვრწმუნდები, რომ ამ ასაკოვანი კაცის ფიზიკური დაღლილობის მიუხედავად, მისი გონება ისევე კარგად მუშაობს, როგორც მის მიერვე ნაჩუქარი შვეიცარიული საათი და ისიც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მეუბნება:

„ძალიან კარგად მესმის თქვენი კითხვისა, მაგრამ გთხოვთ, თუ შეიძლება, ჩემი პასუხიც გაიგოთ, ჩემთვის პრეზიდენტობის ხუთივე კანდიდატი პატივსაცემი პიროვნებაა. ისინი ერთი და იგივე დონეზე არიან და წარმატების შანსიც თანაბარი აქვთ.

— მათ შორის გამარჯვებულმა რომ მოინდომოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლოზანიდან ან საერთოდ შვეიცარიიდან გადატანა, როგორ ფიქრობთ, ამ წინადადებას მხარდამჭერთა მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოუჩნდება? — ამას შემთხვევით სულაც არ ვეკითხები სამარანჩს, რადგან შვეიცარიელები, ცოტა არ იყოს, შეფუცხუნებულნი არიან და შიშობენ, ვაითუ სამარანჩის პრეზიდენტობიდან წასვლის მერე ახალმა ხელმძღვანელმა იმ ქვეყანაში მოინდომოს გადაბარგება, რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებსო. ასეთ შემთხვევაში, შვეიცარიიდან აბარგებულ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ალბათ მიჰყვებიან საერთაშორისო სპორტული ფედერაციებიც რომელთა უმეტესობა ამ ნეიტრალურ ქვეყანაში სოკ-ის „ხათრით“ დასახლებულა. სწორედ შვეიცარიაშია ფეხბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, ჭიდაობის, ველოსპორტის, ცხენოსნობის, ტანვარჯიშის, ცურვის, ნიჩბოსნობის, ბეისბოლის, მთამსვლელობის, ჭადრაკის, სათხილამურო და სპორტის სხვა სახეობათა საერთაშორისო ფედერაციები; აქვეა კუბერტენის სახელობის საერთაშორისო კომიტეტი, სპორტული მედიცინის საერთაშორისო ფედერაცია, სპორტული ნაწარმის მსოფლიო ფედერაცია, ოლიმპიური ფილატელიის საერთაშორისო ფედერაცია და სხვა მრავალი.

ყოველივე ამის გამო სამრანჩი ყურადღებას ამახვილებს სოკ-ისა და შვეიცარიის მომავალ ურთიერთობებზე. იგი არ ფარავს, რომ ქვეყნის ხელისუფალთაგან ფესტს მოელის. მისი აზრით, სოკ-მა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციამ, უნდა მიიღოს თითქმის დიპლომატიური სტატუსი. ჯერჯერობით [illegible] ვარდიპლომატიური სტატუსი და სამარანჩი მაგალითისთვის წითელი ჯვრის ორგანიზაციას იშველიებს.

ამიტომ ჩემი კითხვაც უადგილო სულაც არ არის, თავად სამარანჩი კი ამ საკითხის მიმართ არ ღელავს.

— ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ სოკ-ის შტაბ-ბინა ლოზანიდან გადავიდეს. ამასთან დაკავშირებით სოკ-ის პრეზიდენტობის ხუთივე კანდიდატმა მოგვახსენა თავისი აზრი. ისინი მოხარულნი არიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლოზანაში ყოფნით. ამასთან, შტაბ-ბინის გადატანა-გადმოტანის საკითხი არ იქნება სოკ-ის პრეზიდენტის გადასაწყვეტი, რადგან ეს სესიის პრეროგატივაა. მის გადასაწყვეტად უმრავლესობის, სოკ-ის წევრთა ორი მესამედის თანხმობაა საჭირო.

— 1994 წელს თბილისში ყოფნისას ინტერვიუში გვითხარით, ჩემი, როგორც სოკ-ის მეთაურის ერთ-ერთი მიზანი საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე ყველა ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთხელ მაინც მონახულებააო. მოახერხეთ ამ ამოცანის შესრულება?

— მას შემდეგ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების რაოდენობა გაიზარდა. მათ მოსანახულებლად ცოტა დრო მრჩება. გასულ კვირას ვიყავი ბუტანსა და პალაუში, რითაც 195 ქვეყანაში მოგზაურობა დავასრულე. მიზნის მისაღწევად დამრჩა ოთხი ქვეყანა: პალესტინა, ბურუნდი, ერიტრია და კომორი. დამრჩა ავღანეთიც, მაგრამ იქ ჩასვლა შეუძლებელია, რადგან ომია, თანაც ეს ქვეყანა სოკ-ის წევრობიდან გარიცხულია. იმ დარჩენილ ოთხ სახელმწიფოში კი რამდენიმე დღის მერე გავემგზავრები...

მართლაც საკვირველია ამ კაცის ენერგია. 90-იანი წლების დასაწყისში მან იმდენი იარა ქვეყნიდან ქვეყანაში, რომ გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. სამარანჩი იმ 195 ქვეყნიდან ბევრგან რამდენჯერმე ჩასულა, ზოგან კი თითოჯერ. რაც შეეხება საქართველოს, იგი აქ სამჯერ იყო: ორჯერ — როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და პირველად — როგორც ესპანეთის ელჩი საბჭოთა კავშირში. მაშინ იგი მოსკოვის „დინამოს“ ონსტატ ფეხბურთელთა გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ ჩამოსულ სევილიელ ფეხბურთელებს საგულშემატკივროდ ჩამოჰყვა.

მაშინ თქვენც ძალიან ძლიერი ფეხბურთელები გყავდათო, ესეც გაიხსენა სამარანჩმა.

***

**ლოზანაში** რკინიგზის ვაგზლის ფასადს ამშვენებს წარწერა: „ლოზანა ოლიმპიური დედაქალაქია“. იქვე ფრიალებს ვეება, ხუთრგოლგადაჯაჭვული დროშა.

ამ ქალაქში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა თავის დროზე გადმოიტანა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მებაირახტრე პიერ დე კუბერტენმა, სამარანჩმა კი ლოზანა ოლიმპიურ დედაქალაქად აქცია. ამიტომ, მე თუ მკითხავთ, სამარანჩს ლოზანელებმა ძეგლი უნდა დაუდგან, მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა სოკ-ის 21-წლიანი მმართველობის მერე მას ლოზანის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებაზე უარი უთხრეს. სამარანჩის ლოზანის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას წინ აღუდგნენ ქალაქის საბჭოში უმრავლესად მყოფი ოპოზიციონერები, თუმცა სამარანჩს ეს არც უთხოვია.

ოპოზიციონერთა უარს ალტერნატიული გეგმა მოაყოლა ლოზანის მერმა ჟან-ჟაკ შილტმა, ვინც სამარანჩისთვის ქალაქის გასაღები გაიმეტა, რასაც ლოზანის საპატიო მოქალაქეობის მსგავსად რატიფიცირება არ სჭირდება.

სხვათა შორის, 1995 წელს სამარანჩი სორბონის უნივერსიტეტის დოქტორად გამოცხადდა. მაშინ სორბონის უნივერსიტეტის პრეზიდენტმა სამარანჩს საკუთარი ხელით გადასცა საპატიო დოქტორის ყველა აუცილებელი ატრიბუტი.

ისიც საინტერესოა, რომ 1937 წელს გადაწყდა სორბონის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება პიერ დე კუბერტენისთვის მიენიჭებინათ, მაგრამ ეს მისი სიკვდილის გამო ვერ განხორციელდა.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ლოზანა — თბილისი**

**ავტორის ფოტოები**

# აზოტელთა უსაქციელობამ მაკაბის მესამე ადგილი არგუნა

## ალმასკომმა რუსთავის გუნდს ნაირ-ნაირი სასჯელი დაადო

საქართველოს 10 ჩემპიონატი

**გუშინ** გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა, რომელმაც რუსთავის „აზოტისა" და თბილისის „სტუ-ჯეოსელის" ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩში რუსთაველ კალათბურთელთა და გულშემატკივართა საქციელის თაობაზე იმსჯელა. შეგახსენებთ, რომ აზოტელებმა უმოწყალოდ ურტყეს და ლამის სასიკვდილოდ გაიმეტეს შეხვედრის არბიტრი ზაზა მაჩალაძე.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილებით:

— რუსთავის „აზოტი" მოიხსნა წლევანდელი, მეათე ჩემპიონატიდან და მესამე ადგილი ავტომატურად მიეკუთვნა თბილისის „მაკაბის". გარდა ამისა, „აზოტს" მიეცა სამი წელი პირობითი დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდა 800 ლარით.

— რუსთავის „აზოტის" მთავარ მწვრთნელ ოთარ ხმელიძეს სამი წლის განმავლობაში აეკრძალა საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდის მწვრთნელობა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მოგვიანებით დაადგენს, ექნება თუ არა ხმელიძეს უფლება, უხელმძღვანელოს საქართველოს სხვადასხვა ასაკის კალათბურთელთა ჩემპიონატში მონაწილე გუნდს.

— რუსთავის „აზოტის" კალათბურთელს ირაკლი ჯაფარიძეს მიეცა ორწლიანი დისკვალიფიკაცია.

— რუსთავის „აზოტის" კალათბურთელები, რამაზ გოგობერიშვილი და მამუკა ტურაშვილი გამოტოვებენ საქართველოს ჩემპიონატის ხუთ-ხუთ მატჩს. მათ აგრეთვე მიეცათ თითოწლიანი პირობითი დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდნენ 500-500 ლარით.

— რუსთავის „აზოტის" კალათბურთელები ლევან ჩაჩუა და არჩილ აბზიანიძე დისკვალიფიცირებულნი არიან თითო წლით და დაჯარიმდნენ 500-500 ლარით.

— რუსთავის „აზოტის" კალათბურთელის, მიხეილ ბერუაშვილის სასჯელის თაობაზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ალმასკომი მოგვიანებით იმსჯელებს.

მაშინ, როცა სხდომამ აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიტანა, საქართველოს კალათბურთის მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარემ, საერთაშორისო არბიტრმა მურმან ქურიძემ პროტესტის ნიშნად ალმასკომის რიგები დატოვა. მისი აზრით, ალმასკომი მეტად ლმობიერად მოექცა „აზოტს" და სასჯელი გაცილებით მკაცრი უნდა ყოფილიყო.

## ევროლიგა

Euroleague

ფინალი (სამ მოგებამდე).

მესამე მატჩი. 1 მაისი

**ტაუ 60:80 კინდერი**

**ტაუ: სკოლა (8), გარსია, ბენეტი (9), ფუარე (8), ვიდალი, ტიმინსკასი (2), შტომბერგასი (5), ალექსანდერი (13), ობერტო (15)**

**კინდერი: ჯინობილი (27), აბიო (11), ბონორა (2), ამბრასა, ფროზინი (1), ანდერსენი (2), რიგოდო (15), გრიფიტი (2), სმოდიში (13), იარიჩი (7)**

*კინდერი 2:1 იგებს სერიას*

*მეოთხე მატჩი გაიმართება 3 მაისს*



TELEBASKET

ტაუელი ელმერ ბენეტი დავიდე ბონორას უფარებს

NBA. პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ჭიპმოჭრილებს თავი მოჭრეს

**აღმოსავლეთი**

1 მაისი

| | |
|---|---|
| მილუოკი | 3 |
| ორლანდო | 1 |

**ორლანდო 104:112 მილუოკი**

**ორლანდო: მაკგრეიდი (25), მილერი (22), არმსტრონგი (16 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი)**

**მილუოკი: ალენი (26), კასელი (25), რობინსონი (17), ტომასი (15 ქულა, 10 მოხსნა)**

„ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ და უნდა მოგვეგო" — უთქვამს „მილუოკი ბაქსის" ერთ-ერთ ლიდერ გლენ რობინსონს, როდესაც ზუსტად ერთი წლის წინ მის გუნდს პირველ წრეში სერიის გადამწყვეტი მატჩი მომავალ ფინალისტ „ინდიანა პეისერზთან" წაუგია. „დიდი ძაღლის" ეს სიტყვები სრულიად მილუოკელთა გულისთქმა იყო და ძალიან ჰგავდა უიმედო წუწუნს. ახლა კი მილუოკელ „ხარირმებს" საწუწუნო არაფერი აქვთ. მათ ორლანდოში სერიის მეოთხე თამაში იძალეს და ბოლო თორმეტ წელიწადში არნახულ მწვერვალს უწიეს, პლეი ოფის მეორე წრეში „მილუოკის" ბოლოს შორეულ 1989 წელს უთამაშია. ცნობილია „ბაქსის" მომავალი მეტოქე, იგი „მაიამის" გამანადგურებელი „შარლოტ ჰორნეთსი" გახლავთ.

„ორლანდო" უკვე წარსულია მილუოკელთათვის, ისინი ახლა „შარლოტზე" ფიქრობენ. „ეს კარგი, გაწონასწორებული გუნდია და კარგად თამაშობს მოედნის ორივე ნახევარზე. მასთან დიდი ბრძოლები მოგველის" — ამბობს „ბაქსის" გამთამაშებელი სემ კასელი და კბილებს ილესავს. რაც შეეხება „ორლანდოს", მას იოლად არა, მაგრამ დამაჯერებლად კი აჯობა „მილუოკიმ". ერთადერთი, რაც „ხარირმებს" გულში ხინჯად ჩარჩათ, ორლანდოელთა 21 წლის ლიდერი, ვარსკვლავბიჭუნა ტრეისი მაკგრეიდი გახლავთ, რომელმაც მათ სისხლი გაუშრო. მაკგრეიდიმ პირველ სამ თამაშში, გარდა იმისა, რომ 33, 35 და 45 ქულა მოიხვეჭა, ლამის ხელი არ გაანძრევინა „ბაქსის" პირველ მექულეს, „დიდ ძაღლად" წოდებულ გლენ რობინსონს. რეგულარულ სეზონში რობინსონი მატჩში საშუალოდ 22 ქულას აგროვებდა, ამ სერიაში კი მაკგრეიდის გადამკიდემ ვერც ერთხელ დასძლია ოცქულიანი თამასა. ენაკვიმატ მაკგრეიდის კი საბაბი მისცემია და უთქვამს, „დიდი ძაღლი" ლეკვივით ვათამაშეო. „ტრეისი, მგონი, კარგი ბიჭი უნდა იყოს, მაგრამ ურჩევნია, ენას კბილი დააჭიროს, ძალიან შორს შეტოპა" — რობინსონის ნაცვლად მაკგრეიდის „დიდი ძაღლის" თანაგუნდელმა რეი ალენმა გასცა პასუხი.

ეს „ტკბილი გასაუბრება" სერიის მეოთხე მატჩამდე შედგა, რობინსონი კი თამაშის დროსაც შეიქნა დაცინვის ობიექტი. მავანმა გულშემატკივარმა ტაიმთა გასაყრაზე გასახდელისკენ მიმავალს სახეში შეჰყეფა. საზოგადოდ, რობინსონს ძლიერ კაცად იცნობენ და დაცინვებს მის ფსიქიკაზე ისე არ უმოქმედია, როგორც ამას ორლანდოელები ისურვებდნენ. პირიქით, მან გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე წინა სამ მატჩში, 17 ქულაც მიითვალა და მაკგრეიდი პირველად დააჯერა 30 ქულაზე ნაკლებს.

თამაში „ორლანდომ" უკეთ დაიწყო. პირველ მეოთხედში ჩვეულად გაილაღა მაკგრეიდიმ და თავისიანებს საწყისი თორმეტწუთეული თოთხმეტი ქულით, 36:22 მოაგებინა. მერე კი სანაქებოდ გაისარჯა რობინსონი, სტუმრებმაც ერთობლივი ძალებით ალკვეთეს მაკგრეიდის თარეში და სამაგიეროდ, თავიანთი შემტევი მანქანა აამუშავეს. მათმა უკანახაზელებმა — კასელმა და ალენმა ქულათა დიდი ნაწილი მეორე და მესამე მეოთხედში მიითვალეს და „მილუოკიმ" ბოლო თორმეტწუთეულში ათქულიანი უპირატესობით შეაბიჯეს. „ორლანდომ" აქ საბოლოოდ გაიბრძოლა და ლონივრადაც, მაგრამ ალენმა და კასელმა გადამწყვეტი სროლებიდან არც ერთი არ ააცილეს და საბოლოოდ მოუთავეს ხელი მეტოქეს.



REUTERS

დალასი — იუტა. სტუმარ ჯონ სტოქტონს ლიგის ყველაზე მაღალი მოთამაშე შონ ბრედლი უფარებს

**დასავლეთი**

| | |
|---|---|
| იუტა | 2 |
| დალასი | 2 |

**დალასი 107:77 იუტა**

**დალასი: ნოვიცკი (33), ნეში (27), ფინლი (20 ქულა, 12 მოხსნა)**

**იუტა: მელოუნი (25), ბენუა (12)**

„იუტა ჯაზი" ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთადერთი გუნდია, რომელიც პლეი ოფში სერიას ორჯერ 2:0 იგებდა და მეტოქეს ორჯერ ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. სულ ნბა-ს პლეი ოფების ისტორიას ხუთი ასეთი შემთხვევა ახსოვს, აქედან ორჯერ ეს „დოყლაპია" „იუტა" აღმოჩნდა. ამასთან, ის, რაც 1 მაისს „ჯაზს" დალასში დაემართა, წაგება კი არა, განადგურებაა. იქნებ ბევრი სხვაგვარად ფიქრობდეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ პლეი ოფში გამოწრთობილი გუნდი თამაშს 30 ქულით არ უნდა აგებდეს მეტოქესთან, რომელიც ბოლო 11 წელიწადში პირველად გასცდა რეგულარულ ჩემპიონატს. ისე კი, ეს ყველაზე ცუდი არაა, რაც „იუტას" პლეი ოფში მოსვლია. 1998 წელს „ჯაზმა" 54:96 წააგო „ჩიკაგოსთან" ფინალური სერიის მესამე მატჩი.

თავიდან „იუტას" თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა. სტუმრებმა პირველი მეოთხედი უკეთ ჩაატარეს და შვიდქულიანი უპირატესობაც დაიბევეს — 24:17. ეს, ცხადია, გამარჯვების გარანტია არ გახლდათ, მაგრამ მეტოქეთა თამაშის ხარისხს შორის განსხვავებას კარგად კი ასახავდა. „იუტამ" მეორე მეოთხედში აურია, უფრო ზუსტად კი, დალასელები ათამაშდნენ ჩინებულად, აქაოდა ისედაც ვაგებთ და დასაკარგი არაფერი გვაქვსო. მასპინძელმა მაიკლ ფინლიმ ისიც კი გაბედა, რომ კარლ მელოუნსა და კიდევ მის ორ თანაგუნდელს თავზე გადაატანა ბურთი. ამ თავხედობით შეურაცხყოფილმა მხცოვანმა მელოუნმა მომდევნო შეტევაში მას იდაყვი ჩასცხო, თუმცა ეს მსაჯებს არ დაუნახავთ. „დალასი" კი თანდათან ფარავდა სხვაობას და პირველი ნახევრის ბოლოს 42:42 გაათანაბრა, ტაიმის ბოლო წამზე კი მასპინძელთა კანადელმა გამთამაშებელმა სტივ ნეშმა საკუთარი ნახევრიდან, ორი მეტოქის ხელებს ზემოდან ჩაუგდო სტუმრებს, ანგარიში 45:42 გახადა და ტაიმიც ასე მორჩა. აღსანიშნავია, რომ მასპინძელთა მიერ მეორე მეოთხედში მოგროვებული 28 ქულიდან 22 ახალგაზრდა უცხოტომელების — ნეშისა და გერმანელი დირკ ნოვიცკის ანგარიშზეა. გარდა ამისა, ამ ორმა თამაშში „მავერიქსის" 13 სამქულიანიდან ცხრა ჩააგდო. სამჯერ იყოჩაღა მაიკლ ფინლიმ და ერთხელაც კიდევ ერთმა ლეგიონერმა, 216-სანტიმეტრიანმა ჩინელმა ვანგ ჟიჟიმ.

მესამე მეოთხედში სულ გადაირია „დალასი", განსაკუთრებით კი დირკ ნოვიცკი, რომელიც ის აბითურებდა მხცოვან კარლ მელოუნს, თითქოს ორგზის სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს კი არ ეთამაშებოდა, არამედ ვინმე სკოლის კალათბურთელს სასწავლო გაკვეთილს უტარებდა. გერმანელმა ამ მეოთხედში 16 ქულა მოიხვეჭა და როდესაც ეს თორმეტწუთეული დამთავრდა, იუტელებს ტაბლოსკენ გახედვა აღარ სურდათ, ისინი 18 ქულით — 81:63 აგებდნენ. სხვა რომ ვეღარაფერი გააწყვეს, „ჯაზმენებმა" უხეშობას მიმართეს და მსაჯებმა ორი მათგანი — დონიელ მარშალი და ჯონ სტარქსი თამაშიდან დაითხოვეს.

ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და ბოლო მეოთხედში მწვრთნელებმა სათადარიგოებს დაუთმეს ბურთი და მოედანი. აქაც მოეჭრა თავი „იუტას", 14:26 წააგო და საბოლოოდაც განადგურდა. ჩინელმა ვანგ ჟიჟიმ ხუთ წუთში შვიდი ქულა გააკეთა, იგი ისე გათამამდა, რომ შორი მანძილიდანაც ისროდა და აკი ჩააგდო კიდეც სამიანი.

„სახელოვანი გამარჯვებაა, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩვენ „ბებერი მგელი" გავაცოფეთ და მის ბუნაგში იოლი გასეირნება არ მოგველის. ქომაგებს კი ვპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებთ მოგებისთვის" — თქვა „დალასის" ცენტრმა, ლიგის ყველაზე მაღალმა მოთამაშემ, 229-სანტიმეტრიანმა შონ ბრედლიმ, რომელმაც 1 მაისს თავისი წვლილი შეიტანა „იუტას" განადგურებაში — ექვსჯერ დაუფარა „ჯაზმენებს".

სერიის მეხუთე, გადამწყვეტ მატჩს 3 მაისს „იუტა" უმასპინძლებს.

**ირაკლი ფირუზიშვილი**

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.* !

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

| | |
|---|---|
| ① | ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ |
| ② | შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება |
| ③ | შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება) |
| ④ | მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში |
| ⑤ | წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი |
| ⑥ | არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი |

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# უჭირს აიას, პირველ ხაზშიც და საერთოდ


დიმიტრი ფულარია

ცოტაც და, თუ რაგბის კავშირმა არ გადაიფიქრა, სტარტს აიღებს ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ერთწლიანი პაუზის შემდეგ ერთ დროს ქართველისთვის სათაყვანო, ბოლო ხანს კი ბედის ანაბარა დარჩენილი, დაკნინებული, მრავალტანჯული ქუთაისის „აიაც" მოგვევლინება. რას უქადის ახალი გათამაშება ქუთაისელ მორაგბეებს, რა შეიცვალა ქალაქში გუნდისადმი დამოკიდებულებაში? მართლაც საინტერესოა და ამის შესახებ გვესაუბრება წინა სეზონში „აიას" არაფორმალური, წლეულს კი უკვე ოფიციალური 41 წლის მთავარი მწვრთნელი დიმიტრი ფულარია. შეგახსენებთ, რომ შვიდწლიანი სათამაშო კარიერის შემდეგ იგი ძირითადად ბავშვებთან მუშაობდა და პარალელურად ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც მსაჯობდა.

**— დავიწყოთ იმით, რომ ქუთაისში რაგბისადმი უსულგულო მიდგომამ სამარცხვინო შედეგამდე მიგვიყვანა. შარშანწინ „აია" უმაღლეს ლიგას დაეთხოვა და ამის მთავარი მიზეზი უკიდურესი ფინანსური გაჭირვება გახლდათ, გუნდს მცირედი ხელშეწყობაც არ ჰქონია. ეს რომ არა, „აია", ალბათ, ერთბაშად არც საუკეთესო მოთამაშეებისაგან დაიცლებოდა და ქართულ სარაგბო ელიტაში კუთვნილ ადგილსაც შეინარჩუნებდა...**

— ეს მტკივნეული თემაა. ქუთაისური რაგბის პრობლემებზე ადრეც ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ რა აზრი აქვს? მორაგბეთა გაჭირვება გულთან ახლოს არავის მიუტანია, ამიტომ აღმოვჩნდით სავალალო მდგომარეობაში. შარშანწინ „აია" პირველ ლიგაში ჩამოქვეითდა. მოხდა ისე, რომ ამავე ლიგაში აღზევდა ქალაქის სპორტსკოლის გუნდი. წესით და რიგით ორი გუნდით უნდა ჩავრთულიყავით გათამაშებაში, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ იყო და გადავწყვიტეთ მათი გაერთიანება. „აია" 70 პროცენტით სპორტსკოლის აღსაზრდელებით, 18-19 წლის ბიჭებით დაკომპლექტდა. მიუხედავად ფინანსური და სხვა სიძნელეებისა, გათამაშება კარგად ჩავამთავრეთ. ყველა შეხვედრა მოვიგეთ და უმაღლესი ლიგის საგზურიც გვერგო.

**— შარშან თქვენ წვრთნიდით „აიას"?**

— ფაქტობრივად, მე და კახა გაბრიჩიძე.

**— წლეულს როგორ იქნება?**

— კახამ ბავშვებთან მუშაობა ამჯობინა, მის ნაცვლად გიორგი ჩუბინიძე დამეხმარება. წინა ორი სეზონი გიორგი „დათვებში" ასპარეზობდა, ახლა კი მშობლიურ გუნდში დაბრუნდა. იგი მოთამაშე მწვრთნელი იქნება.

**— რამდენადაც ვიცით, ჩუბინიძის გარდა ბათუმიდან სხვა ქუთაისელი მორაგბეებიც წამოვიდნენ...**

— „დათვები" ბევრმა ქუთაისელმა დატოვა, თუმც ყველა „აიას" არ დაბრუნებია. ზოგმა რუსეთს მიაშურა. ჩუბინიძეზე გითხარით. მასთან ერთად დაგვიბრუნდნენ კობა გიორგაძე, ზვიად გოგისვანიძე და შარშან ავადმყოფობის გამო უთამაშებელი ლევან შარვაშიძე. რაც შეეხება გოგა გურეშიძეს, თავიდან ისიც გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, ის ჩვენ განაცხადშიც კი გვყავდა შეყვანილი, მაგრამ ბოლო მომენტში დაგვალალატა, ისევ „დათვური" ასი დოლარი არჩია. სხვათა შორის, იგივე გიორგი ჩუბინიძეს სამჯერ მეტ ანაზღაურებას სთავაზობდნენ ბათუმში, ოღონდ გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

**— სხვა რა სიახლეებია „აიაში"?**

— სამწუხაროდ, მომსვლელზე მეტი წამსვლელი აღმოჩნდა. რუსეთში, ნოვოკუზნეცკის გუნდში გაემგზავრნენ ვალერი ცნობილაძე, თორნიკე აშვეთია და კარლო მაღლაკელიძე; ავთო კოპალიანი საფრანგეთში მიიწვიეს. ლაგვტოვეს გოგა ჭურაძემ და მერაბ სვინტრაძემ. ბესო ლეჟავა ავადმყოფობის გამო ვერ დაგვეხმარება. საფრანგეთში ჩემპიონატი რომ მორჩება, დაგვიბრუნდება ეროვნული ნაკრების წევრი თეიმურ ზიბზიბაძე. იგი და ირაკლი გიორგაძე შუა სეზონამდე დარჩებიან ჩვენთან, მერე კი საფრანგეთში გააგრძელებენ კარიერას. მოგეხსენებათ, ჩილეში ჭაბუკთა მსოფლიო თასის გათამაშებიდან ნაოპერაციევი დაგვიბრუნდა ოთარ ტორაძე. ის ორ თვეს მაინც ვერ ითამაშებს. როგორც ხედავთ, დანაკლისი ძალიან დიდია. განსაკუთრებით პირველ ხაზში გაგვიჭირდება.

**— ნუგზარ ძაგნიძე რომ აპირებდა „აიაში" თამაშს და მწვრთნელობას?**

— კი გვქონდა ამაზე საუბარი შარშანაც და წლეულსაც, მაგრამ ჯერჯერობით ნუგზარი ჩვენთან არ მოსულა. ისე, თუ სურვილი ექნება, უარს ვინ ეტყვის. მისი გამოცდილება გუნდს უთუოდ წაადგება.

**— საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები მსოფლიოს თასის გათამაშების B ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა. ამ წარმატებაში დიდი გახლდათ ქუთაისელ მორაგბეთა წვლილი...**

— ჩილეში ხუთი მოთამაშე გვყავდა მივლინებული — ავთო კოპალიანი, ოთარ ტორაძე, ბექა ყურაშვილი, შოთა საყვარელიძე და ირაკლი გიორგაძე. სასიხარულოა, რომ ბიჭებმა ნდობა გაამართლეს. 17 ლელოდან 11 ქუთაისელთა ანგარიშზე იყო. ამ ფაქტს კომენტარი, ალბათ, არ სჭირდება. ტორაძის ტრავმამ კი ნამდვილად დაგვამწუხრა. ერთ-ერთი თამაშისას მას კუნთი გაუწყდა. ოპერაციაც ჩილეში გაუკეთეს. მსგავსი რამ ჩვენ მორაგბეს ეროვნულ ჩემპიონატში რომ შემთხვეოდა, შესაძლოა რაგბი საერთოდ ველარ ეთამაშა. მორაგბეთა სამედიცინო დაზღვევას ჩვენში დროულად უნდა მიეხედოს.

**— „აია" უმაღლეს ლიგაში დაბრუნდა, მაგრამ არის კი იმის იმედი, რომ გუნდს მველებურად არ გაუჭირდება?**

— ჩვენ დიდი პრეტენზიები არა გვაქვს, მხოლოდ ელემენტარულ პირობებს ვითხოვთ, ოღენ დაპირებებით კი საქმე არ გამოვა. ნახევარ წელიწადზე მეტია კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ვითხოვთ, მაგრამ ჩვენამდე არავინ მოსულა, შარშან კალენდარულ თამაშებსაც არავინ დასწრებია, ჩვენი ყოფით არავინ დაინტერესებულა. ამის შემდეგ რაღაზეა საუბარი...

**— სათქმელს ბოლომდე არ ამბობთ?**

— დასამალი არაფერია. უკიდურესად გვიჭირს. სავარჯიშო პირობებს მოკლებული ვართ, არა გვაქვს სათამაშო მოედანი, ერთადერთი ბურთი შემოგვრჩა. მადლობა ღმერთს, შარშან ბესო ხამაშურიძემ და აქვსენტი გიორგაძემ საკუთარი სახსრებით ფორმა შეგვიძინეს, თორემ არც ის გვექნებოდა. მსგავს დახმარებას ჩვენი ლეგიონერები წლეულსაც დაგვპირდნენ.

ექვს თვეზე მეტი გავიდა, რაც ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით 27-ე საშუალო სკოლის ბაზაზე რაგბის სპეციალიზებული სკოლა ჩამოყალიბდა. ქალაქში არსებული ყველა ასაკის ჯგუფები გაერთიანდა. მორაგბეებს გადაეცათ აღნიშნული სკოლის ძველი შენობა თავისი დამხმარე ნაგებობებით და იქვე არსებული არასტანდარტული მოედანი, მაგრამ რად გინდა? ნახევარი წელიწადი გავიდა და ამ „ბაზის", სადაც უვარგისი სახურავი, ჩამონგრეული კედლები, იატაკაყრილი ოთახები დაგვხვდა, მოწესრიგებაზე დღემდე არავის უზრუნია. მოედანიც მოუწყობელია. წყალი რაა და, იმასაც მოკლებული ვართ. აი, ასეთი პირობები გვაქვს. საკუთარი ძალებით მორაგბეები იქ ვერაფერს შეცვლით, არადა დრო არ ითმენს, თუ ასე გაგრძელდა, შარშანწინდელზე უარესი დაგვემართება. კარგი იქნება თუ ჩვენი პრობლემებით მხარის რწმუნებული, ბატონი თემურ შაშიაშვილი დაინტერესდება, თავისი ავტორიტეტით ბაზის სარეაბილიტაციოდ რაიმე ფორმით საქართველოში მომრავლებულ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს დაგვახმარს.

**— რაგბის განვითარებისთვის ქალაქის ბიუჯეტში გარკვეული თანხაა ჩადებული...**

— ეს თანხა ყველაფერს ვერ გაწვდება, თანაც, არც იმის გარანტიაა, რომ კუთვნილს მივიღებთ.

**— დამეთანხმებით, კლუბმა სხვა გზებიც უნდა ეძიოს მდგომარეობის გამოსასწორებლად...**

— რა თქმა უნდა და ამისთვისაც ჰყავს კლუბს ხელმძღვანელობა, რომელმაც კეთილი უნდა ინებოს და მოგვხედოს.

**— ამასწინათ ქალაქში ახალი შემადგენლობით ჩამოყალიბდა რაგბის ფედერაცია. იქნებ ის წაგადგეთ რამეში...**

— ამის იმედი გვაქვს. ფედერაციას ქუთაისური რაგბის დიდი მოამაგე ჩაუდგა სათავეში. შალვა ქურციკიძეს ბევრი გაუკეთებია და მომავალშიც ჩვეული ენთუზიაზმით იმუშავებს. ერთობლივი ძალისხმევით უნდა შევეჭიდოთ პრობლემებს, სხვა გამოსავალი არ არის.

**— ბრძანეთ, ქუთაისში სათამაშო მოედანი არა გაქვსო, მაშ სად უნდა დაუხვდეთ მეტოქეებს?**

— ესეც თავსატეხია. მოგეხსენებათ, ადრე ცენტრალურ სტადიონზე მორაგბეებს ჩვენი მოედანი გვქონდა. მერე ეს სარბიელი საფეხბურთო კლუბ „ტორპედოს" გადაეცა, და, ვფიქრობ, უსამართლოდ, რადგანაც მორაგბეებისათვის კომპენსაციის სახით სხვა სათამაშო მოედანი უნდა მოწყობილიყო. ეს არ გაკეთდა. „დინამოს" სტადიონზე ბალახი ახალი დათესილია და იქ სექტემბრამდე მაინც თამაში შეუძლებელია. ქალაქში არსებული სხვა მოედნები კი სტანდარტებს არ შეესაბამება. სხვა გზა არ არის, მეზობელ რაიონებში მოგვიწევს გასვლა. 6 მაისს „ყოჩებს" ხონში ვეთამაშებით, მერე რა იქნება, გაურკვეველია.

**— გუნდის მიზანი ჩემპიონატში?**

— „აია", ფაქტობრივად, ჭაბუკთა გუნდია, გამოცდილება აკლია, მაგრამ ოთხეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

**— ამ თვის ბოლოს რუმინეთში ახალგაზრდებს (21 წლამდე) შორის მსოფლიოს პირველობის შესარჩევი ტური გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრებიც იქნება წარმოდგენილი. თქვენ მისი ერთ-ერთი მწვრთნელი ხართ, თანაც ნაკრების კანდიდატად „აიას" რამდენიმე მოთამაშე დასახელებული. მანამდე გუნდმა შეკრება უნდა გაიაროს. ამ პერიოდში „აია" ეროვნულ ჩემპიონატში უთქვენოდ ითამაშებს?**

— რაგბის კავშირს გათვალისწინებული აქვს ეს გარემოება და ამ პერიოდის თამაშებს მოგვიანებით გავმართავთ. რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს, რუმინეთში მასპინძლებთან ერთად იუგოსლავიის და უკრაინის გუნდები გვეყოლება მეტოქეებად. მძიმე ბრძოლები გველის, მაგრამ ვეცდებით, ისევე როგორც ეროვნულის და ჭაბუკთა ნაკრების ბიჭებმა, ჩვენც გავახაროთ ქართული რაგბის მოყვარულნი.

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**



## ტაი-ბრეიკი

# ჰინგისს მელანი გამოელია


მელანი მოლიტორი ქალიშვილს ამიერიდან აღარ გაწვრთნის

**ამიერიდან** მარტინა ჰინგისის მატჩების დროს ტრიბუნაზე ნერვიულობისგან ტუჩების მკვნეტელ, თმაგაწეწილ მანდილოსანს ველარ იხილავთ — მსოფლიოს პირველი ჩოგნის დედამ, მელანი მოლიტორმა თავისი ქალიშვილის მწვრთნელობაზე ხელი აიღო.

„ჩვენ შორის უთანხმოება, დავა არ ყოფილა, მარტინა ხშირად მირეკავს და როდესაც იმ კვირაში ფლორიდიდან ჩამოვა, რამდენიმე დღე აქ ივარჯიშებს" — განუცხადა შვეიცარიულ „ტაგს — ანცაიგერს" ჩოგბურთელის დედამ. გადადგა ჰინგისის მენეჯერის თანამდებობიდან მოლიტორის ბოიფრენდი მარიო ვიდმერიც, რომელიც ამიერიდან უბრალოდ „მრჩეველი" იქნება.

ქალიშვილის ჩოგბურთის ვარსკვლავად გაზრდის იდეით შეპყრობილმა მოლიტორმა მარტინას თამაში სამი წლიდან დააწყებინა, მერე კი მისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად სლოვაკეთის კომუნისტურ რეჟიმს შვეიცარიაში გაეხიზნა. ჩოგბურთის ბევრი ექსპერტი მას ბოლო ათწლეულს საუკეთესო მწვრთნელად და ჰინგისის უნაკლო ტექნიკის მთავარ შემოქმედად თვლის.

„პროფესიულ და პირად ურთიერთობებს შორის ხაზის გავლება ბოლო ხანებში ძალიან გაჭირდა. ჩვენს შორის ურთიერთობა რომ არ გაუარესებულიყო, დაშორება ვამჯობინეთ. როდესაც სამი ისეთი განსხვავებული ადამიანი, როგორც მარტინა, მარიო და მე ვართ, ერთად ცხოვრობს, ყველა მზად უნდა იყოს კომპრომისზე წასასვლელად. სამწუხაროდ, ეს თანდათან შეუძლებელი გახდა" — დაუმატა მოლიტორმა.

დედა-შვილი მწვრთნელ-შეგირდობანას კი ბისკეინის ტურნირის ნახევარფინალში ვინუს უილიამსთან ჰინგისის დამარცხების შემდეგ შეეშვა. მელანი ევროპაში გაემგზავრა, მარტინა კი ფლორიდაში, ბოკა რატონში მდებარე ძვირფას ვილაში დარჩა და ორ ტურნირზე იასპარეზა. მსოფლიოს პირველ ჩოგანს აგერ უკვე ორი თვეა, ერთი ტიტულიც არ მოუგია, თუმცა მოლიტორი ამ ფაქტს მათ დაშორებას არ უკავშირებს: „ადრეც ყოფილა ისეთი პერიოდი, როდესაც მარტინა ამაზე მეტხანს დარჩენილა უტიტულოდ. უბრალოდ, ბოლო ხანებში კონკურენცია გაიზარდა და ყველა ტურნირის მოგება წარმოუდგენელი გახდა".

დედა-შვილს შორის შავმა კატამ 1999-ში როლან გაროსის შემდეგ გაირბინა პირველად და ჰინგისმა მარტომ გადაწყვიტა ტურზე მოგზაურობა. მაშინ ექსპერიმენტი კატასტროფულად დასრულდა: უიმბლდონის პირველივე წრეში მარტინა ელენა დოკიჩმა გაანადგურა. შვეიცარიელის თქმით, განვლილი ორი წლის მანძილზე მან კორტზეც და ცხოვრებაშიც ბევრი რამ ისწავლა და ამჯერად უკეთაა მომზადებული სირთულეებთან გასამკლავებლად.

ქალიშვილს მოლიტორიც ეთანხმება: „მარტინა 18 წლის აღარაა, ცოტაც და 21 შეუსრულდება. მას უკვე აღარ სჭირდება ჩემგან ყველაფერზე მითითების მიცემა, ზრდასრული პიროვნებაა. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალშიც ვითანამშრომლოთ, მაგრამ ძველებური გზით და ფორმებით არა, ყველაფერი შეიცვალა".

* * *

და კიდევ ერთხელ ჰინგისის შერეკილი ფანატის, დუბრავკო რაიჩევიჩის შესახებ — 46 წლის ხორვატული წარმოშობის ავსტრალიელს იმ 11 თვის გატარებაც არ სურს ვირის აბანოში, რომელიც ორწლიანი განაჩენიდან დარჩა. გასულ ხუთშაბათს მან მაიამის სასამართლოში განცხადება შეიტანა აპელაციის შესახებ და საქმის გადახედვას მოითხოვს.

რაიჩევიჩს ისიც უნდოდა, განმეორებითი პროცესის დაწყებამდე თავდებით გაეთავისუფლებინათ, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ შესაბამისი თანხის შეტანის შემდეგ მხოლოდ საემიგრაციო ციხეში გადაიყვანდნენ, ამ განზრახვაზე ხელი აიღო.

# ბოიკოტი უიმბლდონს?

**საპრიზო** ფონდის ტრადიციულმა ზრდამ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო პირველობას, უიმბლდონს უსიამოვნებები თავიდან ვერ ააცილა — ინგლისელებს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებიც ემდურიან და ძლიერისაც.

2001 წლის უიმბლდონის ჩემპიონი კაცი ზუსტად ნახევარ მილიონ ფუნტს მიიღებს, ქალი — 462 500-ს. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულთა კუთვნილ საპრიზოებს შორის განსხვავება 10 ათასით შემცირდა, დიაცები და მათი WTA ტურის თავკაცი ბარტ მაკგუაიერი მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ: „ჩვენი მიზანია, თანხები თანაბრად განაწილდეს. ქალთა ჩოგბურთი ამჟამად ისე გაძლიერდა და იმდენად პოპულარული გახდა, რომ კაცებზე ნაკლებ საპრიზოებს არც ერთ სლემის ტურნირზე არ იმსახურებს".

რაც შეეხება ძლიერ სქესს, აქ უთანხმოებას უიმბლდონის მიერ ჩოგბურთელთა განთესვის თავისებური სისტემა იწვევს. თუ ყველა სხვა ტურნირზე განთესვა კლასიფიკაციის მიხედვით ხდება, „ოლ ინგლენდ კლაბში" წლების მანძილზე ამ საქმეს სპეციალური კომიტეტი განაგებდა და თავისი შეხედულებისამებრ აწებებდა იარლიყებს მოთამაშეებს.

ადრე ეს არავის აღიზიანებდა, მაგრამ კლასიფიკაციის მოდერნიზირების შედეგად ყველა დიდი სლემის ტურნირზე ასპარეზობა სავალდებულო და ნუსხაში შესატანი გახდა. ახლა 16 განთესილს შორის მოხვედრა და პირველ წრეში რომელიმე ბობოლასთან დაჯახების შესაძლებლობის თავიდან აცილება ორმაგად მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ თქვეს შარშან უიმბლდონზე ასპარეზობაზე უარი თიხნარზე თამაშის ოსტატებმა — ალექს კორეჩამ და ალბერტ კოსტამ. მათ გაიგეს, რომ განთესილთა შორის არ მოხვდნენ, არადა, კლასიფიკაციით ამას იმსახურებდნენ.

რამდენიმე დღის წინ „ოლ ინგლენდ კლაბის" ხელმძღვანელობა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გუსტავო კუერტენმა შეაფუცხუნა: „უიმბლდონი მოთამაშეებს პატივს არ სცემს, ჩვენ მოვითხოვთ, განთესვა სხვანაირად წარიმართოს. თუ ჩოგბურთელები ჩემთან მოვლენ და მეტყვიან, რომ ტურნირს ბოიკოტს გამოუცხადებენ, მათ აუცილებლად შევუერთდები".

მოსალოდნელი სკანდალით შეშინებულმა ინგლისელებმა ყურები გამოიფხიკეს და „გუგას" მუქარის კვალად სპეციალური კომიტეტი სწრაფად გააუქმეს. ახალი, ოღონდ არასუბიექტური განთესვის სისტემის შემოღების შესახებ ATP-სთან მოლაპარაკებებს შედეგი ჯერაც არ მოუტანია, თუმცა უიმბლდონის თავკაცი ტიმ ფილიპსი იმედოვნებს, რომ ივნისის დასაწყისამდე კომპრომისს მიაღწევს და ტურნირს ყველა უძლიერესი მოთამაშე ეწვევა.

* * *

უიმბლდონის სამგზის ჩემპიონსა და უდიდეს შარისთავს, ჯონ მაკინროის ზემოხსენებული პრობლემები ნაკლებად აღარდებს. გასულ კვირაში მან ინგლისის ერთ-ერთ საგამომცემლო კომპანიასთან 750-ათასდოლარიანი კონტრაქტი გააფორმა ამ ქვეყანაში მისი ავტობიოგრაფიის გავრცელების უფლებებზე. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კიდევ უფრო მოითბობს ხელს მაშინ, როცა წიგნი მის მშობლიურ აშშ-ში გამოვა.

**ავთანდილ სვანიძე**

## ჭადრაკი

# გაფრინდაშვილი იუბილეს თამაშით ხვდება



ნონა გაფრინდაშვილი

**დღეს** ნონა გაფრინდაშვილის მე-60 დაბადების დღეა. ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი დაბადების დღეს ვარშავაში აღნიშნავს, სადაც ევროპის ქალთა ჩემპიონატზე თამაშობს. ქალბატონი ნონა, ასაკის მიუხედავად, თანაბრად ეთამაშება ახალგაზრდა ტალანტებს, მოგებებიც გაიხსენა და 9 ტურის შემდეგ 3,5 ქულა დაუგროვდა. მის გარდა ვარშავაში 156 მშვენიერი მანდილოსანი ირჯება და მათგან 10 ქართველი. ჩვენებიდან გამოვარჩევთ ქეთევან არახამია-გრანტსა და ნინო ხურციძეს, რომელთაც ჩემპიონობის ყველაზე მეტი შანსები აქვთ. ხურციძე მე-9 ტურში შავებით რუს ალექსანდრა კოსტენიუკს ეთამაშა და ყაიმს გამორჩა, ხოლო არახამიას თეთრები ჰყავდა და მეტოქედ ბელარუსის სახელით მოთამაშე ქართველი ჰენრიეტა ლაგვილავა, რომელიც განთესვით არახამიას ძლიერ ჩამორჩება, მაგრამ შეუპოვრად ეთამაშა და ყაიმს მიაღწია. მომდევნო რიგებში მომავალთაგან წააგეს ანა მათნაძემ თეთრებით და სოფო ტერელაძემ შავებით, სამაგიეროდ, ნანა ძაგნიძემ და სოფო გველესიანმა მოიგეს. მათგან ძაგნიძეს 5,5 ქულა აქვს, დანარჩენებს — 5. ოთხივეს 29 რჩეულში მოხვედრის გვარიანი შანსი აქვს. ეს რჩეულები ფიდეს მსოფლიო პირველობაზე თამაშის უფლებას მიიღებენ.

არაქართული ამბები ვარშავიდან: უკრაინის დელეგაციამ ორგანიზატორების მიმართ უკმაყოფილება გამოთქვა. ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „მარიოტში“ ღამის გათევა 50 დოლარი ღირს, ამდენი უკრაინელებს არ ჰქონიათ და 25 დოლარად მეზობელ ოტელში გადასულან. ტურნირის განაწესი ამ შემთხვევაში 85 დოლარ „ჯარიმას“ ითვალისწინებს, ორგანიზატორებს კიდევ დამატებით კაცზე 50-50 დოლარი აურთმევიათ. ამ უსიამოვნებამ ზოგ უკრაინელს თამაშის მადა დაუკარგა, ზოგს — პირიქით, ერთი მათგანი, ინა გაპონენკო, 7-ქულიან ლიდერთა საძეულშია. დანარჩენი ორი რუსი ეკატერინა კოვალევსკაია და იუგოსლაველი ნატაშა ბოიკოვიჩი არიან. სამაგიეროდ, ვერ ვარგობს ევროპის უკრაინელი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა, რომელსაც მე-9 ტურში 49-ედ განთესილმა მოლდოველმა სვეტლანა პეტრენკომ მოუგო და სადღაც 46-ე ადგილზე გადატყორცნა. ბოლო ტურებში ყაიმებს შეეშვა მსოფლიო პირველობის ექსპრეტენდენტი ალისა გალიამოვა-ივანჩუკი. ორი მოგებისა და წაგების შემდეგ მან რუმინელი ირინა იონესკუ-ბრანდიც დაამარცხა და ახლა 6 ქულა აქვს.

საერთო სურათი ასეთია: 3 მოჭადრაკე 7 ქულით ლიდერობს, 9-ს — 6,5 დაუგროვდა და ხურციძეც იმათშია, არახამიასა და კიდევ 15-ს — 6 ქულა აქვთ. ჩემპიონატის დამთავრებას 2 ტური უკლია

**დავით გულუა**

## მძლეოსნობა

# მარათონები გაღმა-გამოღმა

**კლივლენდში** დარი იდგა, მადრიდში — ავდარი, როცა ატლანტიკის გაღმა 3 ათასმა და გამოღმა 3-ჯერ მეტმა მორბენალმა 42 კილომეტრი და 195 მეტრი ირბინა.

კლივლენდის მარათონი ერის ტბის ურბანიზებულ და ხატოვან ნაპირზე შედგა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით და რადგან მზე ანათებდა, ხალისიანი გამოდგა. თუმცა მარათონელებმა თითქმის ფინიშამდე ჯგუფურად სვლა არჩიეს. მხოლოდ 41-ე კილომეტრის დასაწყისში გამოყო ფეხი ბრაზილიელმა ედისონ და სილვამ და ჩქარა განმარტოვდა. „სიტუაციას სრულიად ვაკონტროლებდი — აღნიშნა და სილვამ გამარჯვების შემდეგ — დაღლა არ მიგრძვნია და მარათონის მოგება გულით მინდოდა. პრესტიჟულია, ბრაზილიის გარეთ მარათონს რომ მოიგებ“. და სილვამ ვენესუელულ ლუის ფონესკას 16 წამი მოუგო, მესამე კი ტრინიდადელი რონი ოლასი იყო. ქალთა პოდიუმი რუსებმა დაიპყრეს. თავში დადგა ელვირა კოლპაკოკა, რომელიც სტარტიდანვე ლიდერობდა და ბოლოშიც ასე გავიდა, მაგრამ გამოსარჩევი დრო არ უჩვენებია — 2:42,06 მის პირად რეკორდზეც კარგა 8 წუთით ნაკლები ყოფილა, თუმცა რუსი გამარჯვებით კმაყოფილი იყო, ყველაფერი გეგმის მიხედვით გავაკეთე და ამინდმაც ხელი შემიწყოო.

ხოლო მადრიდში ამინდმა აურია. საზიზღრად ცრიდა, როცა მარათონელებმა ფეხი იშვირეს და „სიბელეს პლასადან“ გაიქცნენ. აქაც არც ერთ ვაჟკაცს თავიდან შეტევა არ უცდია, მორბენალებმა კოლექტიურად გაირბინეს 37 კილომეტრი და მხოლოდ შემდეგ გააქტიურდა პორტუგალიელი ვიტორ და სილვა, რომელიც კლივლენდში თავის მოგვარესავით გამარჯვებას მოწყურებული იყო, მაგრამ დენთი არ ეყო. ორნი მისდევდნენ სულ ახლოს: ესპანელი მეგობარი ხოსე რამონ რეი და ტანზანიელი კოლეგა ჯულიუს მტიბანი. მტიბანი მალე დავარდა, რეიმ კი ფინიშთან ახლოს გაუსწრო მეგობარს. ქალთაგან მადრიდში კუბელმა მარიელ გონსალესმა იმარჯვა, თუმცა მისი შედეგი სრულიად უფერული იყო — 2 საათი, 44 წუთი და 18 წამი.

**დავით გულუა**

### კლივლენდის მარათონი

**ვაჟები**

1. ედისონ და სილვა (ბრაზილია) 2:12,43;
2. ლუის ფონესკა (ვენესუელა) 2:12,59;
3. რონი ოლასი (ტრინიდადი) 2:13,03

**ქალები**

1. ელვირა კოლპაკოვა (რუსეთი) 2:42,06;
2. ტატიანა ტიტოვა (რუსეთი) 2:43,37;
3. მაგდალენა ლევი (პოლონეთი) 2:44,57

### მადრიდის მარათონი

**ვაჟები**

1. ხოსე რამონ რეი (ესპანეთი) 2:19,12; 2. ვიტორ და სილვა (პორტუგალია) 2:19,19; 3. ჯულიუს მტიბანი (ტანზანია) 2:19,45

**ქალები**

1. მარიელა გონსალესი (კუბა) 2:44,18; 2. კრისტინა ბლასკესი (ესპანეთი) 2:59,19; 3. მარია კრისტინა გარსია (ესპანეთი) 3:04,54

## ველორბოლა

### მსოფლიოს თასი. მეხუთე ეტაპი (ამსტელ გოლდ რეისი)





ერიკ დეკერმა ლენს არმსტრონგს გაუსწრო და სიხარულით ატირდა

# მაასტრიხტის შეთანხმება

**მსოფლიოს** თასის მეხუთე ეტაპი ჰოლანდიაში გაიმართა და მას „ამსტელ გოლდ რეისი“ ჰქვია. პელოტონმა გაზაფხულის უკანასკნელი კლასიკი მაასტრიხტული ფინიშით დაასრულა, სადაც პირველი ჰოლანდიელი ერიკ დეკერი მიიჭრა, მეორე კი, ისევე როგორც ორი წლის წინ, ამერიკელი ლენს არმსტრონგი იყო.

დილის წვიმის შემდეგ გამოჩენილი მზის ქვეშ ამ ორმა მრბოლმა დაახლოებით ერთი საათი გაატარა ერთად. ბოლოს კი შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ სამი ეტაპის მომგებმა „ტურისავე“ ორგზის ჩემპიონს სპრინტში აჯობა და მაასტრიხტის ქუჩებში თავმოყრილი უამრავი თანამემამულეც ფრიად გაახარა.

არმსტრონგმა, როგორც უკვე ვთქვით, აქ მეორედ დაიკავა მეორე ადგილი. მან 1999 წელსაც ჰოლანდიელთან წააგო. მაშინ მიკაელ ბოგერდმა ამერიკელთან ერთად მიიღო წარმატებულ შეტევაში მონაწილეობა, მაგრამ იერიშისას სულ მეტოქე ამუშავა, თავად მხოლოდ მის ბორბალში ჯდომით დაკმაყოფილდა, ენერგიაც გაცილებით ნაკლები დახარჯა და საფინალო სპრინტიც გაცილებით იოლად მოიგო.

გამარჯვების შემდეგ დეკერის და მისი გუნდის, „რაბობანკის“ წევრების, მათ შორის ბოგერდის ემოციებმა ნათლად გამოაჩინა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ჰოლანდიური გუნდისთვის თავის ქვეყანაში გამართული ერთადერთი კლასიკის მოგებას. ამიტომ არმსტრონგის ეს ორი წარუმატებლობა ადვილი ასახსნელია.

დეკერი ფინიშამდე 42 კილომეტრით ადრე ხაფანგშიც გაება, როცა არმსტრონგმა მკვეთრად უმატა სიჩქარეს, თუმცა „პოსტალის“ წევრის ეს აჩქარება წმინდა შეტევას მაინც არ ჰგავდა. ასეა თუ ისე, დეკერი ჩამორჩა და მერე დაახლოებით 12 კილომეტრის მანძილზე ეულად მისდევდა დაწინაურებულებს.

მისმა დაჟინებამ სასურველი შედეგი გამოიღო და ჰოლანდიელი არმსტრონგს დაეწია, რომელსაც მხოლოდ იტალიელი ედი მაძოლენილა მიჰყვებოდა. ვალკენბურგის გამოსასვლელთან, კაუბერგის აღმართზე რომ ახალი იერიში განახორციელა არმსტრონგმა, მაძოლენი ჩამორჩა, დეკერმა კი მისი მიყოლა შეძლო. ამ დროს მაასტრიხტამდე 10-12 კილომეტრიღა რჩებოდა.

ორი მრბოლი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ერთმანეთშიც კარგა ხანს საუბრობდა. „ვუთხარი, რომ მუშაობის სურვილი და მიზეზი არ მქონდა, რადგან მდევართა ჯგუფში სამი თანაგუნდელი მყავდა და რბოლის მოგების მშვენიერი შანსიც სწორედ რაბობანკელებს გვქონდა. მან კი მიპასუხა, რომ „ამსტელ გოლდ რეისის“ მოგება მისთვის მთავარი არ იყო, რადგან ჰოლანდიელი არაა და თუ მე თანამშრომლობაზე უარს ვიტყოდი, მაშინვე თვითონაც გაჩერდებოდა. მეც სხვა რა გზა მქონდა და მივეხმარე. საბედნიეროდ, ის მართალი აღმოჩნდა, დარჩენილ გზაზე ენერგია თავად მეტი დახარჯა და სპრინტში კი შემებრძოლა ცოტათი, მაგრამ მაინც საკმაოდ იოლად მოვიგე“ — განაცხადა დეკერმა მაასტრიხტში არმსტრონგთან შეთანხმების შესახებ

ამ დუეტის შემდეგ ბელგიელმა სერჟ ბაგემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, რომლისთვისაც ეს კარიერაში ყველაზე თვალსაჩინო წარმატებაა. ისე, ეს ბაგე კაი უცნაური ვინმეა. 1997-99 წლებში ველოსპორტს საერთოდ დაანება თავი, იქ არსებული სიტუაცია აღარ მომწონსო და რბოლებს შარშანღა დაუბრუნდა.

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში კი ერიკ დეკერი დაწინაურდა და მას 11 აგვისტომდე ვერავინ გადაასწრებს. იმ დღესაა დანიშნული მომდევნო ეტაპი, „სან სებასტიანის კლასიკი“, რომელიც შარშან სწორედ დეკერის გამარჯვებით დასრულდა.

**ბაგი გურული**

**რბოლის შედეგები**

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 6სთ 39წთ 13 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) იგივე დრო
3. სერჟ ბაგე (ბელგია, ლოტო) +17წმ
4. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) +17
5. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) +17

**საერთო ჩათვლა**

1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) 199 ქულა
2. ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია, ვინი კალდიროლა) 121
3. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) 116
4. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო) 116
5. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე) 112


### ექიმი კარდიოლოგი გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



☎ (231) 7 17 58

### იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე.
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

### ქუთაისში

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიაოსთან"

### იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით

**ტელ:**
**397 198. 959 032. 8 77 428283**



### იყიდება

სამოთახიანი სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ.
აბაზანა–ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ.
№71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:

**ტელ:**
**22-75-07. 69-52-58**



# ბერძენ-რომაელები ბათუმიდან ღუზას სტამბოლში ჩაუშვებენ

## რურუას თავისუფალთა შედეგის გამეორება ეეჭვება




ევროპის ჩემპიონატზე აკაკი ჩაჩუა ქართველთა მთავარი იმედია

**სიდნეის** ოლიმპიური თამაშების შემდეგ ჩვენი სპორტსმენებისთვის ოფიციალურ შეჯიბრებებზე ჩამოვარდნილ ხანგრძლივ პაუზას ევროპის ჩემპიონატები მოჰყვა. როგორც გახსოვთ, იქიდან ჯერ თავისუფალი სტილის მოჭიდავეები დაბრუნდნენ სამივე ხარისხის თითო მედლითა და გუნდური მესამე ადგილით, გუშინდელ „სარბიელში" კი ძალოსანთა მიერ მოპოვებულ ერთ „დიდ" და ორ „მცირე" ოქროსა და ერთ „პატარა" ბრინჯაოზე, აგრეთვე გუნდურ პირველობაზე დაკავებულ მესამე ადგილზე გიამბეთ.

ახლა, ცხადია, სალერღელი აგვეშალა და წარმატების იმედით შევყურებთ ჩვენს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს, რომლებიც 10-13 მაისს სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი სპორტსმენებიდან ყველაზე უკეთ სწორედ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეებმა იასპარეზეს და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ახლაც, ევროპის ჩემპიონატზე, მათგან მეტს ველით.

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა სტამბოლში გამგზავრებამდე, გუშინ, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომან რურუამ და გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც ომზარ შოშიტაშვილმა გვითხრა, გუნდის წევრები კმაყოფილნი არიან ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პირობებითაც და შეკრებათა რაოდენობითაც. მათ სამი შეკრება გამართეს. წლის დასაწყისშივე ბაკურიანში ემზადებოდნენ, მეორედ და მესამედ კი ბორჯომში.

ეს შეკრებები 30-კაციანი შემადგენლობით გაიარეს. რა თქმა უნდა, სპორტსმენებთან ერთად იყვნენ მწვრთნელები, ექიმები, მასაჟისტი. ერთი სიტყვით, ნაყოფიერად მოემზადნენ. ახლა კი საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის დასკვნით შეკრებაზეა ბათუმში. 7 მაისს, როდესაც მოსამზადებელი ეტაპი დასრულდება, ჩვენი დელეგაცია ბათუმიდანვე აიღებს გეზს სტამბოლისკენ.

როგორც ომზარ შოშიტაშვილმა გვითხრა, ბოლო 11 წლის განმავლობაში ასეთი კარგი საწვრთნელი შეკრება ჩვენს მოჭიდავეებს არ ჰქონიათ, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის, მისი პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის, პირველი ვიცე-პრეზიდენტის რომან რურუასა და ლევან თედიაშვილის დამსახურებაა.

პრესკონფერენციაზე ისიც აღნიშნეს, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, მისი ახალი ხელმძღვანელობა და პირადად თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი ყველაფერს აკეთებენ, რათა ჩვენმა ფალავნებმა კარგი შედეგები აჩვენონ.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების გეგმებს, მისი ხელმძღვანელობის სურვილია, ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მიერ ნაჩვენები შედეგები გაიმეორონ.

გუნდში არიან: 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში ბათუმელი ალექსანდრე კუნჭულია, შარშანდელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის, თბილისელი ირაკლი ჭოჭუა (58 კგ); 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი ყველასთვის კარგად ნაცნობი სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი, სამტრედიელი აკაკი ჩაჩუაა. სხვათა შორის, იგი ნაკრების ყველაზე უფროსი წევრია.

69 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს მარტყოფელი ალექსანდრე დოხტურიშვილი; 76 კგ წონით კატეგორიაში — ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორი, ქუთაისელი გიორგი ჯინჭველაშვილი. ტრავმის მოშუშების მერე ნაკრებს დაუბრუნდა ჩვენი გამოცდილი მოჭიდავე, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსანი ბათუმელი მუხრან ვახტანგაძე (85 კგ).

საევროპო ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა ჭაბუკთა შორის მსოფლიოს პირველობის პრიზიორი, თბილისელი რამაზ ნოზაძე (97 კგ). მან ჭაბუკთა ნაკრებიდან თავი პირდაპირ დიდების გუნდში ამოყო.

მძიმე წონაშია ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული და ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, თერჯოლელი მირიან გიორგაძე.

რაც მთავარია, ბიჭებში საბრძოლო განწყობილებაა. საამისო სტიმულია ისიც, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ წლევანდელ საქართველოს ჩემპიონებს სტიპენდიად 100-100 ლარი დაუნიშნა, რაც არ არის სახელმწიფოსგან გამოყოფილი თანხები. ასევე 70-70 ლარის სტიპენდიები დაენიშნათ ახალგაზრდებსაც. მართალია, ეს დიდი თანხა არაა, მაგრამ მოჭიდავეებზე რომ ზრუნავენ, ესეც ფაქტია.

საინტერესოა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის რომან რურუას მოსაზრებაც:

— გუნდში ახალგაზრდა მოჭიდავეები არიან. მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი საზრუნავი ათენის ოლიმპიური თამაშებია. სწორედ ევროპის ჩემპიონატმა უნდა გვიჩვენოს ის სპორტსმენები, რომელთა იმედზეც მომავალ ოლიმპიადაზე უნდა ვიყოთ. სტამბოლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს გუნდს შეიძლება ჩემპიონიც ჰყავდეს, შეიძლება სხვა პრიზიორიც. თუმცა პირადად მე მეეჭვება, რომ მათ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შედეგები გაიმეორონ, რადგან ბერძნულ-რომაულ მოჭიდავეთა შორის არ არიან ისეთი გამოცდილები, როგორებიც თავისუფალ სტილით მოჭიდავეებს შორის იყვნენ. ამავე დროს, არაა გამორიცხული, თავისებური ხასიათისა და ბუნების პატრონმა აკაკი ჩაჩუამ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვოს.

**გიგა გურასპაშვილი**

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია
სამძიმარს უცხადებს ასოციაციის
ვიცე-პრეზიდენტს
ზურაბ ფოცხვერიას მამის
ვასილ ფოცხვერიას
გარდაცვალების გამო

საქართველოს ეროვნული
ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს
უცხადებს „სარბიელის"
გამომცემელსა და მთავარ
რედაქტორს
ზურაბ ფოცხვერიას მამის
ვასილ ფოცხვერიას
გარდაცვალების გამო



ეროვნული ბიბლიოთეკა

NHL. სტენლის თასი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# რიკოშეტი

1 მაისი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| ტორონტო | 1 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

**ტორონტო 2:3 ნიუ ჯერსი (0:1 2:0 0:1 0:1)**

0:1 ჰოლიკი 10 (5), 1:1 ველკი 29 (1), 2:1 ტომასი 32 (4), 2:2 გომესი 42 (4), 2:3 რაფალსკი 67 (3)

„რაც თავი მახსოვს, ოვერტაიმში გოლები სულ ასე უცნაურად გადის — გაუგებარი რიკოშეტებისა და ასხლეტების შემდეგ" — სინანულით ამბობდა მატჩის შემდეგ ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფი და მართალიც იყო. ნიუ ჯერსიმ მას გადამწყვეტი გოლი შემთხვევით გაუტანა. ბრაიან რაფალსკიმ ბორტიდან ასხლეტილი შაიბა კარისკენ გაგზავნა, მაგრამ გზად იგი მცველ კორი კრისის ციგურას მოხვდა და ბადეში გაეხვია.

დამატებით დროში ხშირად ისეც ხდება, რომ თითქოსდა გარდაუვალი გოლი არ გადის. ასე დაემართა ტორონტოელ გერი რობერტს. ოვერტაიმის პირველივე წუთზე მასპინძელთაგან ერთ-ერთმა საუკეთესომ (3 შეხვედრაში 5 პასი) მეტოქე მცველს შაიბა წაართვა და მარტინ ბროდოსთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მის დარტყმულს მეკარემ მხარი დაუხვედრა, რის შედეგადაც შაიბამ მიმართულება იცვალა და კარს სანტიმეტრებში ასცდა.

აი, ასე ალოგიკურად დასრულდა ეს მატჩი, რომელშიც ორივე გუნდი ერთნაირად იმსახურებდა გამარჯვებას. და ის, რომ მხოლოდ 5 შაიბა გავიდა, მთლიანად მეკარეთა დამსახურებაა. უფრო აქტიური და მიზანმიმართული ნიუ ჯერსი იყო, მაგრამ ტორონტოსაც არაერთხელ შეეძლო, სასწორი თავისკენ გადაეხარა. მარტო ზემოხსენებულმა რობერტმა იმ ავადსახსენებელი მომენტის გარდა კიდევ სამი შანსი გააცუდა — ეტყობა, იმ დღეს გოლის გატანა არ ეწერა. იგივე შეიძლება ითქვას ნიუ ჯერსიზეც. მეორე პერიოდში მათ ინიციატივა სწორედ მას მერე დაკარგეს, რაც ალექსანდრ მოგილნიმ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა კარს. ამას ტორონტოელთა სწრაფი კონტრშეტევა მოჰყვა და გერი ველკმა, რომელიც სერიაში პირველად გამოჩნდა, დამატებაზე იხეირა. შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს, ბოლო რიკოშეტმა კი ნიუ ჯერსის გამარჯვება მოუტანა.

| დასავლეთი | |
|---|---|
| სენტ ლუისი | 3 |
| დალასი | 0 |

**სენტ ლუისი 3:2 დალასი (0:1 1:1 1:0 0:0)**

0:1 კინი 6 (3), 0:2 ჰალი 28 (2), 1:2 ჰეხტი 38 (2), 2:3 ხავანოვი 58 (1), 3:2 სტილმანი 90 (3)

და რას იფიქრებდნენ დალასის ქომაგები, რომ მათ საყვარელ გუნდს რის ვაი-ვაგლახით მოპოვებულ ორშაიბიან უპირატესობას არა მეტოქის რომელიმე ლიდერი, არამედ მესამე-მეოთხე სამეულების მოთამაშენი წაართმევდნენ. ყველაფერი ხომ სტუმართა სასიკეთოდ მიმდინარეობდა. ჯერ ერთი, გამოჩნდა მაიკ მოდანო, რომლის დაბრუნებასაც ჯერ არავინ ელოდა. მისი ყოფნა უმალ დაეტყო გუნდს და პირველი შაიბაც სწორედ დალასის ლიდერმა გამოაცხო. შემდეგ კი გამოირჩა ბრეტ ჰალი. მას დიდი ხანია, არ გაეტანა, თანაც დალასმა რიცხვმრავლობა გამოიყენა, რაც ბოლო მატჩებში არ გამოსდიოდა. საერთოდ ტეხასელები ასეთ უპირატესობას ხელიდან არ უშვებენ-ხოლმე, მაგრამ წლევანდელ სენტ ლუისთან, ნებისყოფიანსა და თავდაჯერებულთან, ამის გაკეთება ცოტათი ძნელია. მართალია, ამჯერად პიერ ტარჯონისა და კეიტ ტკაჩუკის სამეულებს არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, დანარჩენებმა საკუთარ თავს აჯობეს. პირველი საპასუხო შაიბა გერმანელმა იოჰერ ჰეხტმა გაიტანა, რომელმაც ელ მაკინისის უძლიერესად გასროლილს დაამატა. შემდეგ მასპინძლებს უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ედ ბელფორი შეუდარებელი იყო. და მაინც, ძირითადი დროის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სენტლუისელთა „პოლიციელმა" ჯამალ მაიერსმა ტარჯონისებული პასით ახალბედა მცველი ალექსანდრ ხავანოვი მოძებნა და მანაც ელვისებური დარტყმით ლამის გახია კარის ბადე.

მერე, პირველად წლევანდელ პლეი ოფში, იყო ორი ოვერტაიმი (მთლიანობაში კი უკვე 19), რომლებშიც სენტ ლუისი გაცილებით ახლოს იყო მოგებასთან და საბოლოოდ იმარჯვა კიდეც. ისევ უცნობმა ჰოკეისტებმა იხეირეს. სეზონის განმავლობაში გუნდში მისულმა სკოტ მელანბიმ და კორი სტილმანმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ბრწყინვალე ბელფორს შანსი არ დაუტოვა. ანგარიში კი სერიაში 3:0 გახდა სენტ ლუისის სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ დალასი ზედიზედ მესამედ ვერ გადის თასის ფინალში. ლიგის ისტორიაში სერიაში ამგვარი სხვაობა მხოლოდ ორ გუნდს გაუბათილებია. ბოლოს, 1975 წელს, ეს აილენდერსმა მოახერხა.

**სამველ ლარიბიანი**

| მსოფლიოს ჩემპიონატი (ჰანოვერი, გერმანია) |
|---|
| 1 მაისი |
| A ჯგუფი |
| ჩეხეთი 3:1 შვეიცარია (0:1 1:0 2:0) |
| C ჯგუფი |
| შვედეთი 5:0 უკრაინა (1:0 1:0 3:0) |
| D ჯგუფი |
| იტალია 4:4 ნორვეგია (1:1 1:0 2:3) |




ტორონტო — ნიუ ჯერსი. რენდი მაკკეი ტორონტოელთა კარში ბრაიან რაფალსკის მიერ გატანილი გადამწყვეტი გოლით ხარობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბროდო მზადაა

ეს დასვენება არ არის, არამედ სახსრების ვარჯიში. „ნიუ ჯერსი დევილზის“ მეკარე მარტინ ბროდო ვარჯიშობს და იგებს კიდეც: მისმა გუნდმა ბროდოს კარგი თამაშის წყალობით 3:2 მოუგო „ტორონტო მეიფლ ლიფზს“ და საპლეიოფო სერიაშიც დაწინაურდა — 2:1.



REUTERS მარსელიდან



REUTERS ტორონტოდან

# სენას ხსოვნისათვის




REUTERS სან პაულუდან

ზუსტად შვიდი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც იმოლას ტრასაზე დაიღუპა მეფორმულე აირტონ სენა. მშობლიურ ბრაზილიაში, სან პაულუში სენას ხსოვნას სათუთად ინახავენ, მისი დაღუპვის დღეს კი სამანქანო გამოფენაზე სწორედ ის „მაკლარენი“ გამოუყვანიათ, რომლის საჭესთან მჯდომმა სენამ 1990 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო. ეს პატარა ბიჭი კი აირტონ სენა და სილვაა. მოგეხსენებათ, ბრაზილიაში ძალიან უყვართ შვილებისთვის გამოჩენილი ადამიანთა გვარ-სახელის დარქმევა.

# დუიე გაფრენილა

ფრანგი ძიუდოისტი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი დავიდ დუიე რომ მრავალმხრივი კაცია, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ თუ გაფრინდებოდა, ვერავინ იფიქრებდა. არადა, პილოტობა მისი ერთ-ერთი გატაცება ყოფილა. მარსელის ახლო აეროდრომზე გამართულ შოუში დუიე სიხარულით ჩაბმულა და საპატრულო თვითმფრინავის მესაჭეობაც გაუწევია. საფრანგეთის საპატრულო ძალებს კი სახელოვანი ოლიმპიელი თავიანთ თილისმად გამოუცხადებიათ.

# სერ ნიჩბოსანი

ეს მოსალოდნელი იყო და გამოცხადებულიც: დიდბრიტანელი სპორტსმენი, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში, 39 წლის სტივ რედგრეივი დედოფალმა ელისაბედ მეორემ კარის რაინდად აკურთხა. ამიერიდან რედგრეივს კიდევ ერთი ტიტული აქვს, გვარსახელის წინ აუცილებლად სახსენებელი „სერ“. რედგრეივი ცოლთან, ორ ქალიშვილთან და ვაჟ ზაკთან ერთად ხლებია ვესტმინსტერს და მეტად გაკვირვებულა, როცა დედოფალს უკითხავს, ფეხი როგორა გაქვს, სერო. ეტყობა დედოფალს ლონდონის ბოლო მარათონისთვის უცქერია, რომელშიაც რედგრეივი ოჯახობით მონაწილეობდა და მოყვარულისთვის საოცარი, 21-ე ადგილიც დაუჭერია, თანაც ფეხმტკივანს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ რედგრეივს შაქრის დიაბეტი სჭირს.



REUTERS მალიორკიდან

# რაღაც ხდება, რაღაც ხდება

დიდი ქველმოქმედება გასწია კუნძულ მალიორკაზე ბორის ბეკერმა. ჯერ იყო და გოლფის ტურნირი გამართა, ახლა კი საფეხბურთო მატჩიც ჩაატარა. ამაზე კარგი რა უნდა იყოს, მაგრამ ლონისძიებებში მეტად ეფექტურად გახიდულა სუპერმოდელი კლაუდია შიფერი, რომელსაც წინა დღით ბეკერი ჟღურტულ-ჟღურტულით ასწავლიდა ყვანჯის ქნევას, ახლა კი ბურთაობის სწავლება დაუწყია. უცოლოდ შთენილი ბეკერი და მორიგ სიყვარულს დაცილებული კლაუდია რაცხა ნამეტანი ერთად თამაშობენ. ამიტომ ყვითელ პრესას ქველმოქმედება ალარ ახსოვს და ოდენ იმის გარკვევას ცდილობს, ეს ორი მდიდარი მარტოსული რამ აათამაშა.



REUTERS ლონდონიდან



THE SUN.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge